



# შირაქი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დადოგლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№45 (9.759)

26 ნოემბერი-3 დეკემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

უხევედრა  
GIZ-ის  
წარმომადგენლებთან

მმ.2



## მოგაპალი 4 წელი კახეთში ინფრასტრუქტურის

მმ.3



## ვიგართულებით მნიშვნელოვანი იქნება



მმ.8

## „ვეფხისტყაოსანი“ სამრეკლოს სცენაზე

დანაშაული  
თუ  
სასჯელი?!

მმ.6



ფოთლების წვა  
200 ლარით  
ისჯება

მმ.2

## უმცირეობული სიღარიბე – სიღარიბის გაზრდილი ალტმა

მმ.4



## კულტურის სახლი 50 წლისაა

მმ.8

# შეხვედრა GIZ-ის წარმომადგენლებთან

გერმანიის საერთაშორისო საზოგადოება GIZ-ის წარმომადგენლები დედოფლისწყაროს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებს შეხვედნენ. სტუმრებმა ადგილობრივ ხელისუფლებას ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური სერვისების მართვით კმაყოფილების დონის განსაზღვრის მიზნით შედგენილი კითხვარი გააცნეს. ნათია კობერიძისა და ამირან კოდიაშვილის განცხადებით, თვითმართველობების წარმომადგენელთა ჩართულობა და მათი აზრის გათვალისწინება GIZ-ის მუშაობასა და მათ მიერ განსახორციელებელ პროექტებს მნიშვნელოვნად ეფექტურს გახდის.

მსგავსი შეხვედრების ჩატარებას და ხელისუფლებასთან აქტიურ თანამშრომლობას GIZ მომავალშიც გეგმავს.



# კვირიკაშვილი — „ტექნოლოგიური მოსახლეობისთვის მინიგალურად მტკიცებული უნდა იყოს“



საქართველო უნდა გახდეს მიმზიდველი არა თავისი სტიქიური განვითარებით, არამედ იმით, რაც გეგმურ, მდგრად განვითარებას გულისხმობს, რომელიც გულისხმობს მწვანე სივრცეების, დასასვენებელი ზონებისა და ადამიანებისთვის უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირიკაშვილმა პარლამენტში ფრაქცია „პატრიოტთა ალიანსის“ წევრებთან შეხვედრაზე განაცხადა.

როგორც გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, მომდევნო ოთხის წლის განმავლობაში ქვეყანას მართებს კიდევ უფრო მეტად გააქტიურება ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის მიმართულებით.

„როდესაც საუბარია სივრცითი მოწყობაზე, ის გულისხმობს მოწესრიგებულ განვითარებას იმ ლოკაციების, რომლებიც არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, ტურისტული მიმართულებები, რათა არ მოხდეს სტიქიური განვითარება და მოხდეს კანონზომიერი, დაგეგმილი, გენერალური გეგმების მიხედვით განვითარება. რა თქმა უნდა, ეს გულისხმობს გარკვეულ რეგულაციებს სართულიანობაზე, გარემოპირკეთებაზე, განლაგებაზე, საჯარო სივრცეების მოწყობაზე, მაგრამ ეს იქნება სწორედ იმისათვის, რომ დამატებითი ღირებულება შეიქმნას უძრავი ქონების მიმართულებით. საქართველო გახდეს მიმზიდველი არა თავისი სტიქიური განვითარებით, არამედ იმით, რაც გეგმიურ, მდგრად განვითარებას გულისხმობს, რომელიც გულისხმობს მწვანე სივრცეების, დასასვენებელი ზონებისა და ადამიანებისთვის უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნას“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ იგეგმება გარკვეული ზომების გატარება, მათ შორის ტექნოლოგიების შემოღება.

„ჩვენ ვგეგმავთ გარკვეული ზომების გატარებას, ეს იქნება, რა თქმა უნდა, ტექნოლოგიური, გაუმჯობესებული სტანდარტები ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე, თანდათანობითი დანერგვა, რათა ეს იყოს მინიმალურად მტკიცებული მოსახლეობისთვის. დამეთანხმებით, რომ იმ პრაქტიკით, რომელიც მიღებულია ევროპის ქვეყნებში, ამის განხორციელება აუცილებელია, რათა ცხოვრების ხარისხი ჩვენს ქვეყანაში გაუმჯობესდეს“, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

# გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის ახალი შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა პარლამენტს უკვე გადაუგზავნა

პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს მთავრობის ახალი შემადგენლობა და სამთავრობო პროგრამა პარლამენტს უკვე გადაუგზავნა. ამის შესახებ მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურში განაცხადეს.

სამთავრობო პროგრამა შემდეგ 4 წელზე - 2016-2020 წლებზეა გათვლილი და მისი სახელწოდებაა: „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“.

მინისტრთა კაბინეტში ძირითადი ცვლილებები ეკონომიკურ გუნდს ეხება. უფრო კონკრეტულად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თანამდებობაზე გიორგი გახარიაა წარდგენილი, რომელსაც, შესაბამისად დეპუტატის მანდატის დატოვება მოუწევს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრობის მოვალეობის შემსრულებელი დიმიტრი ქუშიშვილი კი, გიორგი კვირიკაშვილის გადაწყვეტილებით, ფინანსთა სამინისტროს ჩაიბარებს და ნოდარ ხადურს შეცვლის. ქუშიშვილი ასევე შეინარჩუნებს პირველი ვიცე-პრემიერის თანამდებობას.

გარდა ამისა, ენერჯეტიკის სამინისტროში დაბრუნდება უწყების ყოფილი ხელმძღვანელი კახა კალაძე, რომელსაც ამ ეტაპზე პარლამენტის ახალარჩეული დეპუტატის სტატუსი აქვს. კალაძე ასევე დაიკავებს ვიცე-პრემიერის თანამდებობას.

ასევე, ცვლილება შეეხება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, სადაც უწყების ამჟამინდელ ხელმძღვანელ ნოდარ ჯავახიშვილს ზურაბ ალაფიძე ჩაანაცვლებს. ალაფიძე ამ დრომდე მთავრობის ადმინისტრაციაში მუშაობდა.

მინისტრთა კაბინეტის კიდევ ერთი ახალი სახე იქნება „თავისუფალი დემოკრატიის“ ყოფილი წევრი ვიქტორ დოლიძე, რომელიც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე დავით ბაქრაძეს ჩაანაცვლებს. უქმდება დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებულ მიმართულებას საგარეო საქმეთა მინისტრი შეითავსებს.

მინისტრთა კაბინეტის დანარჩენი წევრები თანამდებობებს ინარჩუნებენ. უფრო კონკრეტულად, პოსტზე რჩებიან საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ ჯანელიძე, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი დავით სერგეენკო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი სოზარ სუბარი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ჯეჯელავა, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ლევან დავითაშვილი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი მიხეილ გიორგაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ტარიელ ხეჩიკაშვილი, თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ლევან იზორია, იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თეა წულუკიანი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მღვინეიშვილი, სასაგარეო ურთიერთობებისა და პრობაციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი კახა კახიშვილი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი გიგლა აგულაშვილი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან ციხელაშვილი.

# შეიარაღებული ძალების ბენარალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე ვლადიმერ ჩაჩიბაია დაინიშნა

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე გადააყენა და ამავე თანამდებობაზე ბრიგადის გენერალი ვლადიმერ ჩაჩიბაია დაინიშნა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის თანამდებობიდან გადააყენებისა და ახალი უფროსის თანამდებობაზე დაინიშნის საკითხი ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე განიხილეს. აქამდე ვლადიმერ ჩაჩიბაია გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.

# სამართლებლოში ქარის პირველი ელექტროსადგური ტესტირების რეჟიმში ამუშავდა

საქართველოში ქარის პირველი ელექტროსადგური ტესტირების რეჟიმში ამუშავდა. ელექტროსადგურ „ქართლის“ სიმძლავრე 20,7 მეგავატია, ხოლო საშუალო წლიური გამო-მუშავება 88 მლნ კვტ.სთ იქნება.

გორის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქარის პირველი ელექტროსადგურის მშენებლობა მიმდინარე წლის მარტში დაიწყო. ენერჯეტიკის სამინისტროს განცხადებით, სადგური სრული დატვირთვის დეკემბრის მეორე ნახევარში ამუშავდება. ქარის ელექტროსადგური ექსპეკტი აგრეგატისაგან შედგება, თითოეულის სიმძლავრე 3,45 მგვტ-ს შეადგენს.

პროექტის საერთო ღირებულება 34 მილიონ დოლარია. აქედან 70%-ი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, სესხის სახით, შეაფასო, ხოლო დანარჩენი 30% საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდმა გაიღო.

# ზამთრის ალვანში ცხვრის მპარსავერის კოოპერატივი „თუშური ოქროს სანმისი“ შეიქმნა

ახმეტის რაიონის ზამთრის ალვანში ცხვრის მპარსავერის კოოპერატივი „თუშური ოქროს სანმისი“ დაარსდა. ცხვრის 24 თანამედროვე საპარსი კოოპერატივის ჩესურმა ორგანიზაცია „კარტასმა“ გადასცა. კოოპერატივის ხელმძღვანელის ბესო ლავაზიძის თქმით, თანამედროვე საპარსი მობილური სისტემა, რომლითაც ცხვარი ხუთჯერ ნაკლებ დროში 3 წუთში იპარსება და დუქარდით პარსვისგან განსხვავებით, მატყლის ბოჭკო არ ზიანდება.

მისივე თქმით, საპარსებს გენერატორიც აქვს, რომელიც საძოვარზე უშუქობის დროს გამოიყენება.

„გასულ წელს გავიგეთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მე-ცხვარეები კოოპერატივის შექმნილით, ჩესები 24 საპარსს უსასყიდლოდ გადმოგვცემდნენ. კოოპერატივში 8 მეცხვარე ვართ გაერთიანებული და ჯამში 7 000 სული ცხვარი გვყავს. საპარსები ჩესურმა ორგანიზაცია „კარტასმა“ გადმოგვცა, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ცხვარეზე ჩვენ ქვეყანას. საპარსი თანამედროვე მობილური მოწყობილობაა, რომელსაც დამლი და ჩანთაში ჩაანყობ, თან გენერატორიც აქვს. საძოვარზე თუ სადმე დენი არ არის ჩვენ კოოპერატივის გვეძახიან მეცხვარეები, გენერატორს ვდგამთ და ცხვარს ისე ვპარსავთ. დუქარდით ცხვრის პარსვის 15 წუთი სჭირდება და ამ დროს მატყლის ბოჭკო ცხვრის გაპარსვისთანავე ზიანდება. თანამედროვე საპარსი კი და-ახლოებით ხუთჯერ ნაკლებ დროში იპარსება ცხვარი, მატყლიც არ ნაკუნდება და ბევრად ხარისხიანია. როცა ქართული მატყლის დამუშავებისა და ევროპაში გატანის საკითხი დადგება, სწორედ ასეთი ნაპარსი დაგვჭირდება“, - უთხრა კახეთის საინფორმაციო ცენტრს კოოპერატივის ხელმძღვანელმა ბესო ლავაზიძემ.

საპარსი მოწყობილობებთან ერთად მატყლის ტრანსპორტირებისთვის და შესანახად ჩესურმა ორგანიზაციამ კოოპერატივის „კამაზის“ მარკის ავტომობილი და შენობა გადასცა. ბესო ლავაზიძის თქმით, მატყლის რეალიზაციის პრობლემის გამო შენობა უფუქციოდ და დარჩენილი, მანქანას კი ახმეტის მუნიციპალიტეტი იყენებს.

„ჩესებმა საპარსი მოწყობილობების გარდა „კამაზი“ და შენობაც გადმოგვცეს, რომ მატყლის ტრანსპორტირება მოგვეზღონა და შეგვენახა. იმის გამო, რომ ვერ ვყიდით, თუ-წუთში მატყლის დიდი ნაწილი იყრება. ამიტომ ვფიქრობთ, და ვერც მანქანას ვერ ვიყენებთ“, - აღნიშნა ბესო ლავაზიძემ.

# ფოთლების წვა 200 ლარით ისჯება

მოქალაქეთა ნაწილმა იცის, რომ ფოთლების წვა გარემოსთვის და ადამიანების ჯანმრთელობისთვის საზიანოა, მაგრამ მინც წვავენ. ნარჩენების მართვის კოდექსით, ფოთლების წვა 200 ლარით დაჯარიმებას ითვალისწინებს, თუმცა გამოყენილი სამართალდარღვევების რაოდენობა ძალიან მცირეა.

სპეციალისტების განცხადებით, ფოთლების, ასევე მეორადი საბურავების და სხვადასხვა საყოფაცხოვრებელი ნარჩენების წვა განსაკუთრებით ქალაქებში ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. 1 ტონა მცენარეული ნარჩენის ბოლი გამოყოფს 9 კგ მიკრონაწილას. ისინი ჰაერის ორთქლთან ურთიერთქმედებენ და გამოყოფენ ისეთ ნივთიერებებს, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა დაავადებებს, მათ შორის კიბოს განვითარებასაც. იმ შემთხვევაში კი თუ ფოთლებთან ერთად პოლიეთილენის პაკეტები ან პლასტიკური ბოთლების ნარჩენების იწვება, ნარმოქმნება მთელი რიგი ტოქსინები, რაც იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის დარღვევას, ლვილის დაზიანებას და ა.შ.

ფოთლების წვა აბინძურებს ნიადაგსაც. ნიადაგის ზედა ფენაში კი მძიმე მეტალების შემცველობა 1,5-2 ჯერ იზრდება. გარემოსდამცველები მოქალაქეებს ურჩევენ, ფოთლები კი არ დაწვან, არამედ ნიადაგის გასაწმენდებლად გამოიყენონ. როგორც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ნარჩენების კონტროლის განყოფილების უფროსმა ეკატერინე კისკვიძემ განაცხადა, 2016 წლის მდგომარეობით, ფოთლების წვის გამო დაჯარიმების 44, ხოლო საბურავების წვაზე დაჯარიმების 55 ფაქტია დაფიქსირებული. ფოთლების ან სხვა საყოფაცხოვრებელი ნარჩენების წვის შემთხვევაში მოქალაქეებმა დარღვევის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს უნდა აცნობონ ცხელი ხაზის ნომერზე — 153 (ზარი უფასოა).

# მოავალი 4 წელი კახეთში ინფრასტრუქტურის მიმართულებით მნიშვნელოვანი იქნება



**ორ თვეზე მეტია, კახეთის რეგიონის ახალი გუბერნატორი შყავს სახელმწიფო რწმუნებულმა ირაკლი შილაშვილმა თანამდებობა მას შედეგად დატოვა, რაც საპარლამენტო არჩევნებში ჩართო, მოგვიანებით კი ერთადერთი სახელისუფლებო კანდიდატი აღმოჩნდა, რომელმაც სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატის მანდატი პირველივე ტურში მიიღო და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გადაინაცვლა. სექტემბრის ბოლოს პრემიერმა კახეთის გუბერნატორად ირაკლი ქადაგიშვილი დაასახელა, რომელიც თანამშრომლებს წინამორბედმა წარუდგინა. ახალი გუბერნატორი საკმაოდ მთავრად იქნა მრავალფეროვანი პრობლემით ბიორეგიონი გამოირჩევა, რომლის საქმიანი ურთიერთობა სხვადასხვა წლებში კახეთს რეგიონს უკავშირდებოდა, შესაბამისად, ამბობს რომ რეგიონის პრობლემები მისთვის უცხო არ არის.**

**გაზეთი „შირაქი“ ირაკლი ქადაგიშვილის სამომავლო გეგმებით დაინტერესდა და რეგიონის განვითარებასთან დაკავშირებით მისი ხედვის მოსაზრებებს გუბერნატორთან ინტერვიუ ჩაწერა.**

**ბატონო ირაკლი, რატომ კახეთი?.. თქვენი კავშირები და დამოკიდებულება ამ რეგიონთან...**

- წარმოშობით კახეთიდან ვარ და პოლიტიკური საქმიანობის განმავლობაშიც, სხვადასხვა დროს, აქტიურად ვიყავი დაკავშირებული ამ რეგიონთან, ასე რომ, შემიძლია ვთქვა, კახეთს კარგად ვიცნობ და ნების მანძილზე ინტენსიური შეხება მქონდა. სხვათაშორის, პირველი მოწვევის პარლამენტის წევრიც სწორედ კახეთის წარმომადგენლობიდან ვიყავი. მოგეხსენებათ, მაშინ ე.წ. რეგიონალურ-პროპორციული სისტემა მოქმედებდა, მე კი კახეთის რეგიონის სიას ვედექი სათავეში და ასე ვაგვიდა პარლამენტის წევრი. შემდგომშიც, სხვადასხვა პერიოდში, ცალკეულ პროექტებთან დაკავშირებით კახეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ვიყავი ჩართული. ხელისუფლების ცვლილებამდეც, ანუ ყველაზე რთულ პერიოდში, კოალიციამ კახეთის მმართველობას გუბერნატორად და ამ ხნის მანძილზე კარგად გაიცანი მის პრობლემები, რომელიც კახეთის ამ თუ იმ მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს აწუხებდა. ასე რომ, რეგიონის თითოეული რაიონი თუ სოფელი ჩემთვის კარგადაა ნაცნობი.

**რადგან ჩვენი საუბარი ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან რამდენიმე დღეში შედგა და თქვენც ყოფილი პარლამენტარი ხართ, მინდა გკითხოთ, როგორ შეაფასებთ მეტრეზ მოწვევის პარლამენტს და რა მოლოდინი გაქვთ საკანონმდებლო ორგანოსთან?**

- ის, რომ კახეთის ოლქებში მეორე ტური გახდა საჭირო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას რეგიონში შედარებით დაბალი მხარდაჭერა აქვს. პირველივე ტურში ყველა კანდიდატმა მიიღო 45%-ზე მეტი მხარდაჭერა და გაიმარჯვა. მაგრამ დაწინებულმა საკმაოდ მაღალი ზღვარი, რაც, ძირითადად, საპრეზიდენტო არჩევნებში გამოიყენება ხოლმე. უნდა ითქვას, რომ ხელისუფლებისადმი ნდობის მაჩვენებელი კახეთშიც ისეთივეა, როგორც დანარჩენ საქართველოში, რაიმე განსხვავებული სურათი არ

**მინი-ფოსტა:**  
**დაბადების თარიღი:** 23.12.1962  
**ბანათობა:** 1985-1990 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სპეციალობა-სამთო მანქანები და კომპლექსები 2001 წ. ამერიკის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის საარჩევნო ტექნოლოგიების აკადემია.  
**სამუშაო გამოცდილება:** 2016 წ. სექტემბრიდან სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი კახეთის მხარეში; 2013 წ. საპრეზიდენტო და 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, კოალიცია ქართული ოცნების საარჩევნო შტაბის პოლიტიკური

**საბჭოს წევრი.**  
2012 წ. საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია ქართული ოცნების საარჩევნო შტაბის კახეთის რეგიონის კურატორი.  
2012-2014 წწ. პოლიტიკური გაერთიანება თავისუფალი-დემოკრატების თავჯდომარე  
1981 წ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი. სხვადასხვა დროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და გენერალური მდივანი.  
2005-2009 წწ. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის გენერალური მენეჯერი  
1998 წ. არჩეულ იქნა

ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრად.  
1993 წ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სამშვიდობო მოგვარების სახელმწიფო კომისიის წევრი.  
1992-1993 წწ. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის დირექტორი.  
1992 წ. არჩეული იქნა პირველი მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრად.  
1991-1992 წწ. სახელმწიფო საბჭოს წევრი, სახელმწიფო საბჭოს საორგანიზაციო სამსახურის უფროსი.  
**„სსსმ“ „ნება“:** ქართული, რუსული, ინგლისური.  
**მჯავარი** მღვდელ-მღვდელთა: მეუღლე და სამი ვაჟი

უახლოეს მომავალში, დიდი კონტრაქტი უნდა გაფორმდეს, რომელსაც ერთერთი მსხვილი ქართული კომპანია ჩინეთთან დადებს და რამდენიმე მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტი განხორციელდება. თუმცა, ამავდროულად, ჩვენ გვრჩება წერილი მევენახე, ანუ გლეხი, რომელსაც მცირე რაოდენობის მიწა და პატარა ვენახი აქვს. დამეთხმებით, ასეთ დროს რომ არ იყოს სუბსიდია, მისი მოსავალი არსებულ ხარჯებს ვერ დაფარავს. შესაბამისად, ასეთი ფაქტებისთვის მოსავლის დაზიანება რთულია. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ სუბსიდიურული ეკონომიკა არ შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ. თუ ჩვენი ქვეყანა ამ გზით ივლის, მაშინ ნებისმიერი დარგი სუბსიდიურებას მოითხოვს, ეს კი არ იქნება სწორი ეკონომიკური პოლიტიკა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რაიმენიარად ჩავანაცვლოთ ეს სექტორი. ეს კომპლექსური საკითხია და ყველა წერილმანს მნიშვნელობა ენიჭება. ზრუნვა კი იქიდან უნდა დაიწყოთ, რომ ღვინის ხარისხი უნდა იყოს შესაბამისი და კონკურენტუნარიანი და არა სუროგატი, რათა მან მსოფლიო ბაზარზე სიტყვა თქვას. თუ ამას მივალწევთ, აღმოჩნდება, რომ ვენახის ფართობები, რაც საქართველოში გვაქვს სრულიად საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ შიდა მართიონებაც დავაკმაყოფილოთ და რამდენიმე ათეული მილიონი ბოთლი უცხოეთში ექსპორტზეც გავიტანოთ. ზემოთ ვისაუბრეთ, რომ მეღვინეობა მევენახეობა ვითარდება, თუმცა განვითარება სჭირდება მცირე წარმოებებს. ძალიან მნიშვნელოვანია მიმართულება, ასეთი წერილი მევენახეებისთვის მეღვინეობის კოოპერატივი შექმნათ.

**შექმნა თავდაპირველად დედოფლისწყაროში, უფრო კონკრეტულად კი საზღვრისპირა სოფლებში, საბინაყაროსა და ფიროსმანში იგეგმება...**  
- დიას, იგეგმება ასეთი სატექნო კოოპერატივის შექმნა. ახალი მთავრობის დამტკიცებისთანავე სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და ახალ მინისტრთან გვექნება ამ მიმართულებით კონკრეტული სამუშაო შეხვედრები და სწორედ აქ უნდა განისაზღვროს სად შეიქმნება პირველ ეტაპზე ორი, ან სამი ამგვარი კოოპერატივი. რამდენი შეიქმნება ეს უკვე ფინანსებზეა დამოკიდებული და უფრო კონკრეტულად დეტალები მოგვიანებით გვეცოდინება. ზოგადად, ამ მოდელის პილოტირებას მთავრობა კახეთის რეგიონში გეგმავს.  
- **უფრანსისტებთან საუბრისას ახსენებთ, რომ კახეთს ინფრასტრუქტურული ზომი ელოდება და ავტობანის მშენებლობა იგეგმება.**  
- მომავალი 4 წელიწადი კახეთში ინფრასტრუქტურის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მოგეხსენებათ, შედგება თბილისი-ბაკურიცხის ტრასა, იქიდან გაგრძელდება იქნება გურჯაანის შემოვლითი გზისა, რომელიც თელავის მიმართულებით გივილის და აგრეთვე ლაგოდეხის საზღვრისკენ მიმავალი გზა. ეს კი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური განვითარების პროექტი და წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, არა მხოლოდ კახეთისთვის. ავტობანის მშენებლობის დროს ეს მოგეცემს ახალ სამუშაო ადგილებს, ხოლო შემდგომ გზის არსებობა ეკონომიკის აღორძინებას ხელს შეუწყობს და ახალ საშუალებებს მოიტანს. ამავდროულად, მოხდება საქართველოს ისტორიაში პირველი და უპრეცედენტო, კავკასიის ქედის გასწვრივ გზა ყაზბეგისა და იმალის ჩათვლით, რაც სტრატეგიული თვალსაზრისით მთისათვის საშუალებას მოგვცემს და ტურისტული მიმოსვლისთვის აბსოლუტურად ახალი ლანდშაფტი და პოტენციალი გვექნება. ცხადია, პარალელურად იგეგმება შიდა მომარების გზების რეაბილიტაცია. ასევე, იმალისკენ მიმავალი თუმეთის გზა, რომელიც ექსტრემალური გზაა, გვეგმავთ პარალელურად შემოვლითი გზა გავაკეთოთ, რომელიც პანკისის ილტოს ხეობიდან ავა და ომალომდე მივიყვანოთ, ეს უფრო მოკლე და უსაფრთხო გზა იქნება. ეს ტურიზმსაც განავითარებს და მგზავრობის დროს და მანძილს შეამცირებს. აქვე გეტყვით იმასაც, რომ ბაკურიცხიდან გურჯაანის შემოვლითი მაგისტრალის მშენებლობა სანყის ეტაპზეა. მიმდინარეობს პროექტირება. მიმდინარეობს მოსახლეობისგან მიწების გამოყიდვა და ხელშეკრულებების გაფორმება, სადაც მაგისტრალი უნდა გაიყვანონ. მომავალი წლის პირველი ნახევრიდან ეს ტრასა სრული დატვირთვით დაიწყება.

არის. ახალი პარლამენტიდან პოზიტიური მოლოდინი მაქვს.  
მიხვდებით დაკავშირებით პრობლემები კახეთში. არსებობს მინების ნაწილი, რომელიც კერძო საკუთრებაშია. ასეთი კი საკმაოდ დიდი ფართობებია, ისინი კერძო, ან იურიდიულ პირებს ეკუთვნით. გარკვეული ფართობები კი მუნიციპალური, ან სახელმწიფო საკუთრებაშია. სახელმწიფო საკუთრებაში ისეთი მიწაც, რომელიც არცერთ სხვა სუბიექტს არ აქვს დარეგისტრირებული. სახელმწიფო მიწის განკარგვა, ცხადია, ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის დეპარტამენტის პრეროგატივაა, მაგრამ ისინი ყოველთვის ადგილობრივ ხელისუფლებას ეკითხებიან და თანხმობას მუნიციპალიტეტებს და გუბერნიას ეკითხებიან, სანამ კანონიერი გზით გასხვისდება ესა თუ ის მიწა, ხომ არ არის კვებაში სოფლების საძოვრებთან ან საერთო მოხმარების ფართობებთან. თუ სოფელს საძოვრის სხვა აღმკურნატივა არ გააჩნია, ასეთ შემთხვევაში ჩვენ ყველაწინააღმდეგ ვითვალისწინებთ სოფლის მოსახლეობის ინტერესებს და ეკონომიკის სამინისტროს ვუგზავნით დასაბუთებულ ინფორმაციას, რათა ამგვარი ფართობები ამოღებულ იქნას საპროცედიური წესიდან და ეს ასეც ხდება ხოლმე. თუმცა, აქაც ზოგ შემთხვევებში სპეკულაციას აქვს ადგილი. რა თქმა უნდა, ჩემი, როგორც რეგიონში მთავრობის წარმომადგენლის, მთავარი მიზანია, რომ რაც შეიძლება მეტ მიწას ფართობებს გამოუჩნდეს ობიექტური ინვესტორი, რომელიც ადგილზე რეალურად განვითარებს სოფლის მეურნეობას თუ სხვა დარგებს. განვითარების პროცესი კი თავისთავად დადებითად აისახება ირველივე მდებარე სოფლების ყოფის გაუმჯობესებაზე. აქაც ხელისუფლება ყოველთვის თანმიმდევრული იქნება, რომ დაეცულოს იყოს სოფლის ინტერესიც და არ დარჩეს აუთვისებელი ფართობები, მაქსიმალურად მოხდეს მიწის ნაკვეთების ინვესტირება. ცხადია, მაქსიმალურად დავიცავთ ინვესტორის ინტერესებსაც. ბუნებრივია, ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ მიწის მაქსიმალური დამუშავება და გამოყენება მოხდეს. ამის შემდეგ იქნება სახელმწიფო მოგებული, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსავალი შევა, ასე იქნება სამუშაო ადგილები, რაც სოფლების მაცხოვრებლებს შემოსავლის წყაროს გაუჩინებს. ჩვენი ხელისუფლება საუბრობს ყველა ქვეყანასთან, სადაც შეიძლება პოტენციური ბაზარი მოვუპოვოთ ჩვენს პროდუქციას და მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსეთიცაა.

ტებით ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ღვინის ეროვნულ სააგენტოს, რომელსაც საკმაოდ კარგი ალგორითმი აქვს შექმნილი და ეფექტურად მუშაობს. აქტიურად მუშაობდნენ მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებიც. სახელმწიფო უწყებების ძრითადი მიზანი, რომ რაიმე ხარვეზი არ ყოფილიყო, რაც მევენახეს დააზარალებდა, ვფიქრობ ნარმატებით შესრულდა. დავალიანებებიც არ რჩება, ყველა მევენახემ მიიღო ჩაბარებული ყურძნის ანაზღაურება. როგორც ქარხნების მიერ გამოყენებული თანხები, ისე სუბსიდიის ჩათვლით.

**- კახეთი, ძირითადად, სოფლის მეურნეობაზე დგას, რა ნაბიჯებს დგამს სახელმწიფო და როგორ გესახებათ ამ სფეროს განვითარება?**  
- მოგხსენებათ, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის რამდენიმე პროგრამა ხორციელდება მაგალითად: „დანერგე მომავალი“, „იაფი აგროსესხები“ აგროდაზღვევის სისტემა, ყველაფერი ეს ვერაფერს აძლევს საშუალებას, ბიზნესი წამოიწყოს და შემოსავლის წყარო ჰქონდეს. ეს პროგრამები უნივერსალურია და მორგებულია მოქალაქეებზე, რომელთაც სურვილი, ცოდნა და უნარ-ჩვევები გააჩნიათ. ყველა შემთხვევაში ეს პროგრამები ბენეფიციარის ინტერესებიდან გამომდინარეობს. დარგის განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია დაინყთო კოოპერატივები და ეფექტური იქნება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა არა მხოლოდ სოფლის მეურნეობა, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა. ამას ჰქონდა თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები და ხელისუფლება ცდილობს ყველა სფერო ნაბიჯ-ნაბიჯ განავითაროს. რამდენიმე ომი გადავიტანეთ, რაღაც ჩვენ თვითონ ვერ გავაკეთეთ კარგად, იყო შეცდომებიც და ვართ ასეთ რეალობაში. დღეს რეალურადაა ის ვითარება, როცა სოფლის მეურნეობა განვითარების სწორი ვექტორზე დადგა. ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია და არ გვულისხმობ მხოლოდ მევენახეობას. მეღვინეობა ერთერთი მთავარი დარგია ეკონომიკის და კახეთის რეგიონში, რომის ნილი სწორედ ამაზე მოდის. მინდა გითხრა, რომ ნარმატებულ დროს და კარგად ვითარდება. ნელნელა გადავიდვართ ქართული ღვინის წარმოების ძალიან მაღალ სტანდარტებზე. მთელი რიგი კომპანიებია, რომელიც კახეთში ძალიან მაღალი ხარისხის პროდუქციას ახდენს და ასეთი ათეულობით სანარმაო. მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინო თავის ღირსეულ ადგილს ნელნელა და ძალიან დაბეჯითებით იბრუნებს. სულ მალე,

არსებულ ხარჯებს ვერ დაფარავს. შესაბამისად, ასეთი ფაქტებისთვის მოსავლის დაზიანება რთულია. ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ სუბსიდიურული ეკონომიკა არ შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ. თუ ჩვენი ქვეყანა ამ გზით ივლის, მაშინ ნებისმიერი დარგი სუბსიდიურებას მოითხოვს, ეს კი არ იქნება სწორი ეკონომიკური პოლიტიკა. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რაიმენიარად ჩავანაცვლოთ ეს სექტორი. ეს კომპლექსური საკითხია და ყველა წერილმანს მნიშვნელობა ენიჭება. ზრუნვა კი იქიდან უნდა დაიწყოთ, რომ ღვინის ხარისხი უნდა იყოს შესაბამისი და კონკურენტუნარიანი და არა სუროგატი, რათა მან მსოფლიო ბაზარზე სიტყვა თქვას. თუ ამას მივალწევთ, აღმოჩნდება, რომ ვენახის ფართობები, რაც საქართველოში გვაქვს სრულიად საკმარისი იქნება საიმისოდ, რომ შიდა მართიონებაც დავაკმაყოფილოთ და რამდენიმე ათეული მილიონი ბოთლი უცხოეთში ექსპორტზეც გავიტანოთ. ზემოთ ვისაუბრეთ, რომ მეღვინეობა მევენახეობა ვითარდება, თუმცა განვითარება სჭირდება მცირე წარმოებებს. ძალიან მნიშვნელოვანია მიმართულება, ასეთი წერილი მევენახეებისთვის მეღვინეობის კოოპერატივი შექმნათ.

**კოოპერატივები ვახსენებთ და აქვე მინდა გკითხოთ, ახალი ხელისუფლების მხრიდან არაერთი პროგრამა შეიქმნა, თუმცა კოოპერატიული სისტემას რეგიონებში მოქალაქეები ისე უიმედოდ უყურებენ, რატომ არ ნამოწვება სათანადო დაინტერესება ამ ტიპის გაერთიანებები შეიქმნას?**  
- რა თქმა უნდა, კიდევ არსებობს გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერი და ცუდი განწყობა ე.წ. კოოპერატივების მიმართ. მოსახლეობის მეტსიერებაში კოლექტიური მმართველობა ქონებას დაკარგავსთან ასოცირდება და ჯერ კიდევ არის ის განწყობა, რომ კოოპერატივი სანდო ფორმა არ არის. რეალურად 70 წელი ამ ფორმით ვიცხოვრეთ, თუმცა, ადამიანებში შრომის კულტურა ვერ დაინერგა და თანახმობებსა და დაკავშირებით კითხვის ნიშნები ისევ არის. ამ ფონზე მიმჩნია, რომ თუ ჩვენ უახლოეს წლებში შევქმნით ორ, ან სამ ნარმატებულ მაგალითს ღვინის კოოპერატივისა, ეს მიდგომა შეიცვლება და კარგი იქნება. რას ვგულისხმობ ამბობ: რა თქმა უნდა ყველა მევენახე უცვლელად რჩება თავისი მიწის და ვენახის მესპატრონე, მაგრამ მათი გაერთიანებით ხდება საერთო ღვინის ქარხნის ჩამოყალიბება. სწორედ ამ ქარხანაში მიიტანენ ისინი თავის მოსავალს, იქვე თავად დანურავენ და თავადვე დააყენებენ ღვინის. პროდუქტის რეალიზებასაც თავად კოოპერატივი მოახდენს. ზოგიერთი კოოპერატივი ღვინის ბოთლში ჩამოსხმამდე იმუშავებს, ზოგი კი ღვინის რეალიზებას სხვა ქარხნებზე მოახდენენ. ამას ეკონომიკური განვითარების ლოგიკა გვაჩვენებს.

**- როგორც ვიცო, ამგვარი ღვინის კოოპერატივის საცდელი მოდელი**

**- რთველის მიმდინარეობა ერთერთი პირველი იყო, რითიც პირველი როგორ დასრულდა „რთველი 2016“?**  
- ნარმატებით დასრულდა რთველი როგორც კახეთის რეგიონში, ისე მთელს საქართველოში. კახეთის რეგიონმა 140 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო რთველის შედეგად. რთველის წარმა-

ტებით ჩატარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ღვინის ეროვნულ სააგენტოს, რომელსაც საკმაოდ კარგი ალგორითმი აქვს შექმნილი და ეფექტურად მუშაობს. აქტიურად მუშაობდნენ მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებიც. სახელმწიფო უწყებების ძრითადი მიზანი, რომ რაიმე ხარვეზი არ ყოფილიყო, რაც მევენახეს დააზარალებდა, ვფიქრობ ნარმატებით შესრულდა. დავალიანებებიც არ რჩება, ყველა მევენახემ მიიღო ჩაბარებული ყურძნის ანაზღაურება. როგორც ქარხნების მიერ გამოყენებული თანხები, ისე სუბსიდიის ჩათვლით.

**- კოოპერატივები ვახსენებთ და აქვე მინდა გკითხოთ, ახალი ხელისუფლების მხრიდან არაერთი პროგრამა შეიქმნა, თუმცა კოოპერატიული სისტემას რეგიონებში მოქალაქეები ისე უიმედოდ უყურებენ, რატომ არ ნამოწვება სათანადო დაინტერესება ამ ტიპის გაერთიანებები შეიქმნას?**

**- როგორც ვიცო, ამგვარი ღვინის კოოპერატივის საცდელი მოდელი**

**ილია მარტყოფლიშვილი**

# შემცირებული სიღარიბე - სიღარიბის ბაზრდოილი ალქმა

ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ყოველი მეექვსე ბავშვი საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს. ოჯახების შემოსავალი არ გაზრდილა, თუმცა გაიზარდა მათი ხარჯი. ლარიბ ბავშვებს კვლავ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ვიდრე მათ თანატოლებს. მდიდარი ოჯახებიდან - ეს იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოავლინა. ორგანიზაციამ მოსახლეობის კეთილდღეობის მაჩვენებელი იკვლია. ეს გამოკვლევა ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და ამჯერად გაეროს ბავშვთა ფონდმა 2015 წლის შედეგები გამოაქვეყნა. თუკი გამოკვლევის შედეგებს დავეყრდნობით, უნდა ითქვას, რომ „საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია სიღარიბისთან ბრძოლის სფეროში“, თუმცა საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის, ლაილა ოპარაგანის, სიტყვებით, მიუხედავად ამისა, ბავშვები საქართველოში კვლავაც რჩებიან ყველაზე დაუცველ ჯგუფად:

„გამოკვლევამ აჩვენა, რომ საჭიროა მეტი ინვესტიციის ჩადება სოციალური დაცვის მიმართულებით, რათა ბავშვებმა თავი დააღწიონ სიღარიბეს. გამოკვლევამ ასევე აჩვენა, რომ მიზნობრივმა სოციალურმა დახმარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების რაოდენობა. გარდა ამისა, გამოკვლევამ გამოავლინა ისიც, რომ ბავშვები, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, სხვა გამოწვევების წინაშეც დგანან, როგორცაა, მაგალითად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და ასევე სკოლის მიტოვების რისკის ზრდა“.

მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევაში - 2009 წლიდან მოყოლებული, ორ წელიწადში ერთხელ - 4 000-ზე მეტი ერთი და იგივე ოჯახი მონაწილეობს. გამოკვლევის მიზანია გაირკვეს, როგორ იცვლება წლიდან წლამდე ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, როგორია სიღარი-

ბის მაჩვენებელი, როგორია მოსახლეობის დანახარჯი ჯანდაცვის მიმართულებით, განათლების ხელმისაწვდომობა და ა. შ. 2015 წელს ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ, 2013 წელთან შედარებით, უკიდურესი სიღარიბის დონე შემცირებულია, ასევე შემცირებულია ზოგადი სიღარიბის დონეც, მოსახლეობის 18 %-ზე მეტი, პენსიონერების 15 % და ბავშვების 21,7 % მაინც ზოგადი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, ზოგადი სიღარიბის ზღვარი კი თვეში 155 ლარს შეადგენს, ერთ ეკვივალენტურ ზრდასრულ პირზე გაანგარიშებით. მათა ქურციკი, ოუნისეფის კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელი, რადიო თავისუფლებასთან საუბრობს სამი გამოკვლევის რამდენიმე მთავარ მიგნებას, რომლებიც გამოკვლევისას გამოჩნდა. პირველი: მიუხედავად იმისა, რომ რეალურად ქვეყანაში შემცირებულია სიღარიბის მაჩვენებელი, მოსახლეობაში გაზრდილია განცდა იმისა, რომ ისინი ღარიბები არიან. მეორე: გაზრდილია ხარჯი, მაშინ როცა ოჯახების შემოსავალი არ გაზრდილა:

„ისინი თვლიან, რომ ახლა უფრო ღარიბები არიან. გაზრდილი ფასები, მძიმე ავადმყოფობა, ოჯახების შემოსავალი გაუფრთხილდა მათ მდგომარეობაზე. მნიშვნელოვანი მიგნება იყო ისიც, რომ, მიუხედავად იმისა, რომ არ გაზრდილა ოჯახების შემოსავალი, ოჯახები ხარჯავენ უფრო მეტს, ანუ ხარჯავენ მეტს, მეტი ფულის ქონის გარეშე. ეს მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო მიგნებაა. ასევე, გამოვლინდა ის, თუ როგორია მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე განხორციელებული ხარჯები. აღმოჩნდა, რომ, მიუხედავად საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისა, მოსახლეობის დანახარჯები ჯანდაცვაზე გაიზარდა“.

ალანშიშნავია, რომ ოჯახების მიერ ჯანდაცვაზე განხორციელებული ხარჯი 31 %-ითაა გაზრდილი. ამგვარ შედეგს ზაზა სოფრომაძე, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე, რადიო თავისუფლებასთან საუბრისას პოზიტიურად აფასებს და ამბობს, რომ „ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია“. რაც

შეეხება ხარჯების ზრდის მიზეზს, მისი თქმით, ამ ტენდენციას თავისი ახსნა აქვს:

„რა არის ეს დანახარჯები? ეს არის ძირითადად თანაგადახდის ხარჯები, თორემ ძირითად სერვისებს სახელმწიფო ისედაც აფინანსებს. თუ ადრე ძირითად ნაწილს ვერ სხვებოდა მოსახლეობა, ცხადია, მისთვის ამ დამატებითი თანაგადახდის გადახდა ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. დღეს, როდესაც უკვე სახელმწიფოს შუქლია ძირითადი ნაწილი ამ სერვისებისა თვითონ დაფაროს, ცხადია, უკვე მოსახლეობისთვისაც აზრი შეიძინა იმან, რომ დაამატოს გარკვეული თანხა ამ ძირითად თანხას და მიიღოს სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება. ეს გახლავთ მთავარი მიზეზი ხარჯების ზრდისა და ეს მიუთითებს კარგ ტენდენციაზე“.

რაც შეეხება მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამებს, რომლებიც, გამოკვლევის თანახმად, ყველაზე დიდ ზემოქმედებას ბავშვების მდგომარეობაზე ახდენს, ზაზა სოფრომაძის თქმით, დღესდღეობით საქართველოში ოცამდე მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა ფუნქციონირებს და პრიორიტეტი სწორედ იმ ოჯახებს ენიჭება, სადაც სოციალურად დაუცველი ბავშვები ცხოვრობენ. თუმცა უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე მონყველად ჯგუფს სწორედ ბავშვიანი

ოჯახები წარმოადგენენ. გამოკვლევის თანახმად, ბავშვიანი ოჯახებს შორის სიღარიბის მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე იმ ოჯახებში, სადაც ბავშვები არ ჰყავთ. „როდესაც ბავშვის ყოლა იწვევს გაღარიბებას, ეს ნიშნავს, რომ ქვეყნის სოციალური პოლიტიკა არ არის ბავშვზე ორიენტირებული“, - ამბობს ანა არგანაშვილი, წარმომადგენელი ორგანიზაციისა „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“.

ანა არგანაშვილის თქმით, ბავშვებზე სიღარიბის ეფექტი გაცილებით მძიმედ აისახება, ვიდრე ზრდასრულ ადამიანებზე:

„თუ ზოგადად მოსახლეობის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ბავშვების მდგომარეობა ყველაზე ნაკლებად გაუმჯობესდა. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ ესმის სიღარიბის უარყოფითი ეფექტი ბავშვზე. ანუ სიღარიბე ბავშვს ისეთ ზიანს აყენებს განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის კუთხით, რომ ის, ფაქტობრივად, მთელი ცხოვრება იბრძვის ბავშვობაში მიღებული ზიანის გამოსასწორებლად. ბავშვთა კეთილდღეობის და დაცვის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა არის ისეთი, რომ რა ფულიც გამოჩნდება, იმას იყენებს სახელმწიფო. მაგრამ უნდა იყოს პირიქით, რა საჭიროებებიც აქვს ბავშვს, იმის მიხედვით უნდა გამოჩნდეს ფული. ვერ მივაღწიეთ, რომ პოლიტიკის დაგეგმვა იყოს საჭიროებებიდან გამომდინარე“.



## დაკარგული ბავშვობა

ქუჩის ბავშვები... თემა, რომელიც დღეს უკვე ჩვეულებრივ ბანალურ მოვლენად იქცა. ჩვენი ყოველდღიური ყოფითი ცხოვრებისაგან აბსოლუტურად გამიჯნული სამყარო. სამყარო, რომელიც მათ დაწამალისა და არაჯანსაღი ცხოვრების წესისაკენ უბიძგებს. სამყარო, სადაც უცხოა სიყვარული, სიკეთე პატივისცემა, რწმენა. სადაც, ყველაფერი თვითგადარჩენასა და ცხოველურ ინსტიქტებზეა დამოკიდებული. სამყარო, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვეხებით, მაგრამ რატომღაც გვერდს ვუვლით დანაშაულის შეგრძნების გარეშე.

ქუჩის ბავშვების მშობლები ხშირ შემთხვევაში უკიდურესი გაჭირვების გამო გამოსავალს ნარკოტიკებსა და ალკოჰოლურ სასმელებში ეძებენ. თავიანთი შვილების მომავალზე ისინი სწორბაზოვნად ახდენენ გავლენას. უმეტეს შემთხვევაში ისინი, უბიძგებენ და აიძულებენ შვილს, გავიდეს ქუჩაში, იმათხოვროს, ხშირ შემთხვევაში იჭურდოს კიდევ და ასეთი საშუალებით არჩინოს ოჯახი. საბოლოოდ ასეთი ბავშვები იმდენად ეჩვევიან ქუჩას, რომ თავიანთი სურვილით ტოვებენ ოჯახებს და ხდებიან უსახლკარონი.

ყველა ბავშვს ერთი რამ აერთიანებს - უნდობლობა. ძალიან ძნელია მოიპოვო მათი ნდობა და თუ ბოლოს და ბოლოს მოიპოვე შეგიძლია ჩათვალო, რომ მათი საუკეთესო მეგობარი ხარ.

დღესდღეობით თბილისის ქუჩებში 1000-მდე უსახლკარო ბავშვი ცხოვრობს, მათი ზუსტი რიცხვის დადგენა პრობლემას წარმოადგენს, რადგან ქუჩის ბავშვების უმრავლესობას არ სურს კონტაქტი იქონიოს სოციალურ სამსახურებთან. თითქმის არცერთ მათგანს არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

გარკვეულწილად ეს ბავშვები საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისთვის. ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს მათი მსხვერპლი. მათ დიდი აგრესია აქვთ საზოგადოების მიმართ, რადგან თვლიან, რომ ოჯახთან ერთად თავად საზოგადოებამაც გარიყა ისინი. ისინი სხვადასხვა მიზეზით

ხედებიან ქუჩაში, შედეგი კი ასეთია ქუჩას თავს ვეღარ აღწევენ და ამიტომაც მათი ცხოვრების ბოლო საუკეთესო შემთხვევაში რკინის გისოსები ხდება. ეს განაჩენი არ არის, ეს იძულება. ბავშვები, რომელთაც დაარღვიეს კანონი, უფრო მსხვერპლად უნდა მოიაზრებოდნენ, ვიდრე დამნაშავეებად.

მათხოვრობასთან ერთად თითქმის ყველა ტოქსიკომანია. ნერო ყველასათვის იაფფასიანი და ხელმისაწვდომი „კაიფია“. ქუჩის ბავშვების ცხოვრების სტილის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ ეს ბავშვები მუდმივად იცვლიან საცხოვრებელ ადგილს. ისინი ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ სადარბაზოებში, მიტოვებულ შენობებში, სკვერებში, საავტოო ცენტრების მიდამოებში. ქუჩის ბავშვების საცხოვრებელი ადგილების ძირითადი მახასიათებლებია: სინიშტურე, სიცივე, უკიდურესი სიღატაკე, ქაოსი. მათ საცხოვრებელ „ნიშებში“ არ სუფევს ნებისმიერი ბავშვის ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მყდრობა და სიმშვიდე. ამ ბავშვებს არ გააჩნიათ ელემენტარული საარსებო პირობები. მათი საცხოვრებელი ადგილები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს და ნათლად წარმოაჩენს მათ დაუცველობას, უსუსურობას, უიმედობას...

რომ არა ეს სტატია, ალბათ თქვენსავით შევეცდებოდი პირობითი გულგრილობის აკვრას სახეზე მათი დანახვისას. გულგრილობა კი ყველაზე იოლი გამოსავალია პრობლემის გადასაჭრელად.

ყველაფერი კი აი ასე დაიწყო: დეკემბრის რუხი, სუსხიანი საღამო იდგა. გაყინულ გზებზე მანქანები იროდნენ და სიგნალებით იკვლდნენ გადატვირთულ ქუჩებს. ყინვანარევი ქარი მუჭით უცნაურ სევდიან ფიფქს აყრიდა გირლიანდებით გადანათებულ ქალაქს. ყველას სადღაც ეჩქარებოდა, ალბათ წინასწახალწლო სამზადისის სწრაფად მოსამთავრებლად. მე კი, ქუჩის ბავშვებს ვეძებდი. მოგახსენებთ, რომ ეს ყველაფერი შუაგულ ქალაქში, პლენანოვზე ხდება. მეგობრის რჩევა

გავითვალისწინე და მარტო არ წავსულვარ. ერთი კვირის განმავლობაში შევეცადე მათი ნდობა მომეპოვებინა. თავდაპირველად საუბარი არ ისურვეს, მაგრამ წელწელა ზოგიერთი მათგანი მაინც გაიხსნა.

მინდა აქვე შემოგთავაზოთ ინტერვიუ ერთ-ერთ მათგანთან. ჩემი რესპოდენტი ცხრა წლის გოგონაა, ეროვნებით სომეხი. მას ქნარკა ჰქვია, თუმცა რატომღაც საკუთარი თავი მაროდ გამაცნო. აქვე მოკლერეზუმე მის შესახებ (ანუ ორიოდ სიტყვა მისი ტკივილიანი ავტობიოგრაფიის შესახებ). ქნარკა ანუ მარი პლენანოვზე ქუჩაში დაიბადა. ამბობენ, დედამისმა სამშობლიარომდე მისვლა ვერ მიახსრო და ეს პატარა არსება შუაგულ პლენანოვზე მოევილინა ქვეყნიერებას, რომელიც მას არც თუ ისე შესაძურ ხვედრს უმზადებდა. ბავშვი ქუჩაში იზრდებოდა, ლოთი დედა მისგან ყოველ საღამოს თანხას ითხოვდა სასმელის საყიდლად. მალე ქნაროს დედა ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების (თუ რელიზაციის) გამო დაიჭირეს და გოგონა აბსოლუტურად უშავტრონოდ დარჩა.

გთავაზობთ ინტერვიუს ქნაროსთან, დასკვნების გამოტანა კი თქვენთვის მომინდვია:

- რატომ დგახარ ქუჩაში? სახლში რა გავაკეთო? დედაჩემი ციხეშია, მამა არ მყავს. თანაც მარტო ეგ არ არის. მომწონს ქუჩაში.
- მომწონს? აქ ხომ ასეთი სიცივეა - სამაგიეროდ საინტერესოა, აქ ბევრი ადამიანია. რომლებიც ფულსაც მძღვევენ და ხანდახან რალაცეებსაც მჩუქნიან ხოლმე.
- არ გინდა ნორმალური ცხოვრება გქონდეს, ისე როგორც სხვა ბავშვებს? - არა არ მინდა. მომწონს ასეთი ცხოვრება. ეხლა რა მიჭირს, ცოტა გამოვსწორდი, ნებისა აღარ ვყვოსაც უკვე ერთი წელია.
- დედა რატომ არის ციხეში? - რა ვიცი. ნარკოტიკებს ღებულობდა. თანაც სახლში კაცები მოყავდა. ისინი მაიძულებდნენ მათთანაც ყყოფილიყავი. მერე მეზობლებმა იჩივლეს და დედა ციხეში წაი-

ყვანეს. მე კი ბავშვთა სახლში საგურამოში.

**- მერე იქ არ მოგწონდა, იქ ხომ უკეთესია. ქუჩას და ამ სინიშტურეს არ გირჩენია იქ ყოფნა?**

- არა, იქ ძალიან ცუდად მექცეოდნენ, არ მინდა იქ წასვლა.

(როგორც გოგონას ნათესავი ამბობს, საგურამოში გოგონა რამდენჯერმე გააუპატიურეს, რის შედეგადაც ბავშვი ორი თვის განმავლობაში საავადმყოფოში უძძიმეს მდგომარეობაში იწვა).

**- აქ სხვა ბავშვებიც არიან. მათაც არ ჰყავთ მშობლები?**

- რა ვიცი ზოგს ჰყავს ზოგს არა. ზოგი გამოქცეულია სოფლებიდან და მარტო სახელი ვიცი. აი, მავალითად ირაკლის და გიოს მამა ჰყავთ. ის კაცი ლოთია. ღამე ფული თუ არ მიუტანეს, სახლში არ უშვებს და სადარბაზოში სძინავთ. რა ვიცი კიდევ ბევრი არიან, მაგრამ ზოგი უკვე დიდია და ვეღარ მათხოვრობს. ისინი ჯიბის ქურდობით ირჩენენ თავს.

**- მაინც რამდენი ბავშვია დაახლოებით?**

- აქ ჩვენთან თხუთმეტამდე იქნება. ზოგიც სადგურისკენ გადავიდა. იქ უკეთესად არიან. ხალხიც უფრო მეტია. მე ნებისა აღარ ვსუნთქავ და აქ დავრჩი.

ეს იყო ის მცირედი, რაც ამ პატარა ადამიანისაგან შევიტყე. ერთს კი ვიტყვი, თვალით ნანახი ბევრად შემამრებელი იყო, ვიდრე ალბათ გადმოცემული იქნება. საზოგადოებისთვის მათი გარიყვა ადვილია. ისინი ითვლებიან ცუდი, უზრდელი, სამში ბავშვებად. რა ხდება სინამდვილეში? ვისი ბრალია მათი ასეთი მდგომარეობა? ვინ ცდილობს გაუგოს მათ და აღმოუჩინოს დახმარება. ისინი ბევრი არიან. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, თითქმის, წარმოუდგენელია. ვფიქრობ თითოეული ჩვენთაგანის ვალია, რამენაირად დახმარების ხელი გავუწოდოთ მათ. გადავარჩინოთ ისინი და გამოვტაცოთ ქუჩის მარწუხებს. თუ როგორ, ამაზე სერიოზული მუშაობაა საჭირო, როგორც საზოგადოების, ისე სახელმწიფო სტრუქტურების მიერ.

# ჩვენი სამშობლოს ღაბირინთებში...

გვიანი შემოდგომის 25 ნოემბერი იქნა შერჩეული N3 საბავშვო ბაღში 5-6 წლიანთა ჯგუფის ხელმძღვანელ ნანა სენიაშვილის მიერ ღია მეცადინეობისთვის „საქართველო“. დარბაზში ფეხაკრეფით შემოდის 28 ბავშვი და ფეხმორთბით იატაკზე სხდებიან, მათ წინ ნანა მასწავლებელი ჩამოუჯდებოდა ბურთით ხელში და ასე თამაშ-თამაშში იწყება პედაგოგისა და ბავშვების შორის დისკუსია.

რა ჰქვია ჩვენს ქვეყანას, როგორი სახელმწიფოებრივი წყობა იყო გასულ საუკუნეებში და როგორია დღეს, რა ვიცით ჩვენი სამშობლოს შესახებ, რით გამოირჩევა იგი? - ეკითხება პედაგოგი ბავშვებს და ისინიც

რიგ-რიგობით და სხარტად პასუხობენ: - ჩვენი სამშობლო საქართველოა, მისი დედაქალაქი კი თბილისი, მას ადრე მეფეები მართავდნენ, დღეს კი სახელმწიფოს მეთაურს პრეზიდენტი ჰქვია, ჩვენი ქვეყანა გამოირჩევა ეკლესია-მონასტრების სიმრავლით, სტუმარ-მასპინძლობით, კარგი კლიმატითა და ღამაზი ადამიანებით, იგი ამჟამად მრავალეროვანია, მას მეზობელი ქვეყნისგან წარმეული აქვს ტერიტორიები... ეს პასუხთა არასრული ჩამონათვალია. შემდეგ დარბაზის კედელზე დამონტაჟებული ტელევიზორის დიდ მონიტორზე აღსაზრდელები მეფე ფარნავაზიდან იწყებენ მაცურებლებისთვის მეფეების

გაცნობას, გვიამბობენ, რომ ქართული დამწერლობა მან შემოიღო, ქვეყანა გააძლიერა და გააერთიანა. ამის შემდეგ ქვეყანაში ქრისტიანობის გამავრცელებელ წმინდა ნინოსა და მეფე მირიანზე გვესაუბრებიან, მას ვახტანგ გორგასლის მიმინოზე ლეგანდას მოაყოლებენ და თბილისის დაარსების ისტორიასაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებენ. არც დავით აღმაშენებლის მეფობის ხანა დარჩენილ ყურადღების მიღმა პატარებს და მისთვის საქებარ სიტყვებს ამდენი საუკუნის მერე კიდევ ერთხელ გაიმეორებენ. რატომ ეწოდა აღმაშენებელი, რატომ აღიარეს წმინდანად, სად არის დაკრძალული და რა აწერია საფლავის ქვაზე. გულისამაჩუყებელი იყო დავითის ანდერძის მოსმენა ამ პატარებისგან, რომელთაც, ალბათ, სულ მცირედი ნაწილიც არ ესმით ამ სიტყვების დიდი მნიშვნელობა, მაგრამ, სამაგიეროდ ეს სიტყვები ესმის მათ ყურს და მეხსიერებას, სადაც ის ღრმად ილექება და არავინ ვიცით, თავის ნაყოფს როდის გამოიღებს, მაგრამ პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი ბავშვი რომ აუცილებლად სამშობლოს მოყვარული იქნება, ამაზე კითხვის ნიშანი არ დაისმის.

ჩვენი სამშობლოს სა-



ამაყო დროშისა და ჰიმნის შესახებაც გვესაუბრენ პატარა აღსაზრდელები და ახალი ვიდეო როგორც „ჩემი საქართველო აქ არის“ ფონზე დაამზადეს აპლიკაციური ნამუშევარი „ეროვნული დროშა“, შეასრულეს საგალობელი „უფალო ღმერთო“ და გაკვეთილი დაასრულეს საქართველოს ჰიმნით.

ღია მეცადინეობას ესწრებოდნენ ქალაქის ოთხივე ბავშვბაღის პედაგოგები, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს ნანა მასწავლებელს ასეთი მრავალფეროვანი, შემეცნებითი, სიახლის ელემენტებით სავსე გაკვეთილისთვის. მინდა შევუერთდე ნანა მასწავლებლის მიმართ მათ მიერ წარმოთქმულ უამრავ საქებარ სიტყვას და ვთქვა, მიუხედავად მისი უკვე 35 წლიანი მოღვაწეობისა, მიმაჩნია, რომ არის ყველაზე ახალგაზრდა, ენერგიული, სიახლის მაძიებელი და მოსწავლეთა გულის მომგები პედაგოგი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, კიდევ უამრავ თაობას დააფრთხილებს.

ელზა ხარაშვილი



## წლის ყველაზე შთაბეჭდავი ღიმილი

ამბობენ, შემოდგომა წლის ყველაზე შთაბეჭდავი ღიმილიაო, იგი გაზაფხულის, ზაფხულის და ზამთრის ერთობლივი მოზაიკაა. ამიტომაცაა, რომ ბავშვებისთვის შემოდგომა ყველაზე ღამაზად აღიქმება და ყველაფერი ისეთივე გემრიელი და ღამაზი გამოდის წელიწადის ამ დროს, როგორც თავად შემოდგომა ჩამაქრული. საინტერესო ღია გაკვეთილი ჩატარა შემოდგომის თემაზე დამამთავრებელ ჯგუფში დელოფლისწყაროს N2 საბავშვო ბავშვბაღის პედაგოგმა ეკა ნიკლაურმა. აღსაზრდელები მაგიდებთან ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ და თითოეული მაგიდის წევრი ერთმანეთს ეჯიბრებოდა პედაგოგის მიერ კალათიდან ამოღებულ

ფოთლებზე დაწერილ კითხვებზე პასუხის გაცემისთვის. აქ იყო შემოდგომის სეზონის სრული აღწერა და იმ ფერთა ჰარმონიულად წარმოჩენა, რაც შემოდგომის ფერებს ახლავს თან. ბავშვებმა უკვე იცოდნენ, შემოდგომის თევზები, ამ სეზონის ამინდისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ის ფერები და ხილი, რაც შემოდგომაზე გვეძლევა. ყველა პროცესი აღწერეს: რთველი, თათარაობა, ხილის კრეფა, ქვევრებში ღვინის ჩაწურვა და ბელეების ასება მარცვლეულით. შემოდგომის თემას მიეძღვნა ბავშვების მიერ შესრულებული სიმღერა. ღია გაკვეთილი თვალსაჩინოების და აპლიკაციების კუთხითაც გამოირჩეოდა, მოსწავლეებ-

მა პედაგოგის მიერ კედელზე ჩამოკიდული ხილი მოკრიფეს და ყველა სახის ხილი დაახარისხეს კალათებში, მსხლეები და ვაშლები ცალკე ჩაკრიფეს, ხოლო ბანანები ცალკე დაალაგეს. მათვე ეს ხილი ზაფხულის ხილით შემკულ ხეზე მიამაგრეს და ზაფხულის ხე, შემოდგომის ფრად შემოსეს. აქვე გაჩნდნენ პატარა გემოვნებიანი დიზაინერი გოგონები, რომლებმაც პედაგოგის მიერ ფერადი ქალაქდებით გამოჭრილი ნაირ-ნაირი ტანისამოსით შემოსეს სცენაზე დახატული ბიჭუნები და გოგონები. ღია გაკვეთილი თათარის მომზადებით და ჩურჩხელის ამოვლებით დასრულდა.

ლალი მხრინიშვილი



## ჰეი, ბავშვობის დღეებო...

ოქტომბრის ცივი, წვიმიანი დღე იდგა. მორიდებით, თითქოს უხალისოდ ივსებოდა საბანკეტო დარბაზი თმაშევერცხლილი ადამიანებით, დიდი დრო იყო გასული მას შემდეგ, რაც სკოლის კარი გამოიხურეს, ცხოვრების ფერ-ხელში ჩაეებნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ. თითქოს დაავინყდათ კიდევ თანაკლასელები რომ იყვნენ. ახლა კი, 45 წლის შემდეგ, მხარი აუბეს ციცილო ცხადადის ინიციატივას, შეკრებილიყვნენ, მოფერებოდნენ ერთმანეთს, ერთად გაეხსენებინათ სანუკვარი ბავშვობა.

დაიხ, ისინი სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის 1971 წლის კურსდამთავრებულები არიან. როცა ყველა მომსვლელმა თავი მოიყარა, სუფრას შემოუსხდნენ, თი-

თქოს მოილაპარაკესო, მეორე ნახევარი არავის გახსენებია, ყველა თანაკლასელი ერთად, ერთმანეთის გვერდით მოკალათდა. მათში უკვე იღვიძებდა ათეული წლების წინანდელი სიახლოვე. სუფრის ხელმძღვანელობა ბონდო ფიროსმანაშვილმა გასწია. სათითაოდ ყვებოდნენ საკუთარი ოჯახების შესახებ. თავდაპირველმა უხერხულობამ თანდათან გაიარა და აზვირთდა მონატრების ტალღა. ისინი ისე იმ 45 წლის წინანდელ ცუდ და მოუსვენარ გოგო-ბიჭებად იქცნენ. ისევ ისე ენაკვიმატობდნენ თენგიზ გონაშვილი, გივი პოპიაშვილი და ვალიკო სულაშვილი... ისხენებდნენ ბავშვურ ოინბაზობებს, კურიოზებს და იდგა სიცილხარხარი.

იმ სიყვარულის სადღეგრ-

ძელოც დაილია, ლალი სეფიაშვილი ბათუმიდან, ციცილო ცხადაძე კი თბილისიდან რომ ჩამოიყვანა მათ სანახავად. ბავშვობის დროინდელი სიმღერებიც იმღერეს, მერე რა, რომ ზოგი ტექსტი დაევიწყებოდათ, მთავარი ხომ სიმღერის სურვილი იყო.

პირველად საცეკვაოდ ღამარა ზურაშვილმა გაბედა გასვლა; მკლავი გაშალეს გურამ შავლიაშვილმა, ვაჟა ჯავახიშვილმა, არც რძლები ჩამორჩნენ და საარაკოდ მოილხინეს. მოგონებები არ ელეოდათ მარინე ღორაშვილს, კაკო ზარიძეს, ავთანდილ არაბულს, თემურ ფიროსმანაშვილს, გულისტკივლით გაიხსენეს უდროოდ დაღუპული თანაკლასელები, ტარიელ ღორაშვილი, კაკო ნიკლაური, ელდარ გოგოჭუ-

რი, ლალი თარაშვილი შესანდობარი დალიეს და მათთან დაკავშირებული მოგონებები გაიხსენეს. შეხვედრას რამდემინე თანაკლასელი აკლდა, რომლებსაც ბედის უკულმართობამ ზოგს სამშობლო დაატოვებინა, ზოგი დაქვრივდა ან შვილმკვდარ დედად აქცია, გაიხსენეს გარდაცვლილი მასწავლებლებიც.

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო, მათ კი ერთმანეთი არ ეთმობოდათ. ვილაცამ გაიხსენა გივი პოპიაშვილის დაბადების დღე დადგაო და გადაწყვიტეს, რომ მეორე დღეს მის ოჯახში გააგრძელებდნენ ქეიფს. ასეც მოხდა.

- და როცა იუბილარის ნაბოლარა მესამე შვილმა ილიამ გიტარა აახმიანა და მშვენიერი სიმღერებით მოეფერა მამის მეგობრებს, ისევ იძა-

ლა მონატრების ტალღამ, საკუთარი შვილივით ჩაიკრეს გულში და გადწყვიტეს, რომ მომავალ წელს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად შევიკრიბოთო. მჯერა, ასეც იქნება! დასრულდა ეს არაჩვეულებრივი ღამაზი ორი დღეც. ამჩაბებულები მიაბიჯებდნენ სოფლის ორღობებში, თითქოს ნაჯაფარი მხრებიდან ცხოვრების მძიმე ტვირთი ჩამოიბერტყესო. გალაღებულ სახეებზე წვიმის წვეთებივით თამაშობდნენ მათსავით უხვი მოგონებები, თვალეში კი, სადაც უკვე წარსულად ჩაბუდებულიყო განვლილი ორი დღე, ისახებოდა ნატვრა:

„ჰეი, ბავშვობის დღეებო, დაბრუნდებოდეთ ნეტავ!“

თამარ ბატიანიშვილი

# დანაშაული თუ სასჯელი?!

საქართველოში, კერძოდ, ყვარლის რაიონის ეთნიკური ხუნძებით დასახლებულ რამდენიმე სოფელში ქალის გენიტალიების დასახიჩრების პრაქტიკა გამოვლინდა. ამის შესახებ ვრცელ სტატიას „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტი“ (IWPR) აქვეყნებს. ავტორი წერს, რომ გოგონების შემთხვევაში წინადაცვეთის პროცედურა სახლში ტარდება. კანს მაკრატლით ჭრიან და ჭრილობას ხანდახან სუფთა სპირტით წმენდენ. რესპოდენტების განმარტებით, წინადაცვეთის შემდეგ ქალები ნაკლებად ტემპერამენტურობა არიან და სექსუალური ლტოლვა არ აქვთ.

სტატიის ქართულ თარგმანს უცვლელად გთავაზობთ.

„ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის“ გამოძიებამ გამოაშკარავა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, ეთნიკური ხუნძების (ავარიელები) თემის წარმომადგენელი ასობით გოგონა იძულებულია ქალის გენიტალიების დასახიჩრების ოპერაცია გადაიტანოს. მას შემდეგ, რაც ამის შესახებ გახდა ცნობილი, საქართველოს მთავრობამ პირობა დადო, რომ ყვარლის რაიონის სოფლებში თიგში, სარუსოსა და ჩანთლისყურში, სადაც ხუნძების დიდი თემი ცხოვრობს და ბავშვობაში გოგონების წინადაცვეთა ხდება, გამოიძიება დაინყებოს.

„ჩვენ მუსლიმები ვართ. რამადანის დროს ვმარხულობთ. ვიცავთ ჩვენს ისლამურ ჩვეულებებს. წინადაცვეთა ასევე ჩვენი ჩვეულებაა. ამის გარეშე არ შეგვიძლია“ - ამბობს ნაიდა, ქალი სოფელ სარუსოდან. მისი სახელი, ამ სტატიამ მოხსენიებული სოფლის სხვა მკვიდრების მსგავსად, შეცვლილია.

საქართველოს კონსტიტუცია ყველა ადამიანის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების გარანტია, მაგრამ ის ასევე იცავს ჯანსაღი ცხოვრების უფლებას. იგივეს განამტკიცებს ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენცია, რომელსაც საქართველო მიერთებულია.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტს“ უთხრეს, რომ მათ აქამდე ამ პრაქტიკის შესახებ არაფერი იცოდნენ და რომ არც ადგილობრივი არასამთავრობო და არც ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციები არ იტყობინებოდნენ, რომ ქალის გენიტალიების დასახიჩრება ქვეყნის მასშტაბით სადმე ხდებოდა.

ქართველებმა ზოგადად ძალიან ცოტა რამ იციან კავკასიის მკვიდრი ეთნიკური ჯგუფის ხუნძების (იგივე ავარიელები) შესახებ, რომლებიც ისტორიულად დაღესტნის მთიან ნაწილში ცხოვრობდნენ. მეზობელი საქართველოს ყვარლის რაიონთან არსებული სავაჭრო ურთიერთობების შედეგად, მე-18 საუკუნეში ხუნძების ნაწილი იქ დასახლდა და მათი დაახლოებით 3 000 შთამომავალი დღესაც იქ ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ ხუნძები თავიანთი სამშობლოდან შორს, საქართველოს განაპირა რეგიონში ცხოვრობენ, მათ მტკიცედ შემოინახეს საკუთარი კულტურა და ტრადიციები, მათ შორის ხუნძური ენა,

სამზარეულო, საქორწინო და სამგლოვიარო რიტუალები და რელიგიური ჩვეულებები. როგორც წესი, ხუნძები ოჯახურ კავშირებს მხოლოდ საკუთარ თემში ამყარებენ.

ამინა მაგომედოვა, სარუსოს მკვიდრი, წინადაცვეთის პროცედურას ბოლო 20 წელია ატარებს. არ ახსოვს, რამდენი გოგონა გაჭრა, მაგრამ, მისი თქმით, მათი რიცხვი ძალიან ბევრია.

„მუსლიმები გოგონებისა და ბიჭების წინადაცვეთას ახდენენ. მე მხოლოდ გოგონებისას ვაკეთებ“, - ამბობს მაგომედოვა.

როდესაც ბიჭების წინადაცვეთა სრულდება, რაიონულ საავადმყოფოში მიჰყავთ, სადაც ოპერაციას ქირურგი ატარებს.

გოგონების შემთხვევაში პროცედურა სახლში ტარდება. კანს მაკრატლით ჭრიან და ჭრილობას ხანდახან სუფთა სპირტით წმენდენ.

„კლიტორის წვერზე შავი წერტილია, რომელიც უნდა მოიჭრას. ეს ისაა, რაც დედამთილმა მასწავლა. ის ამ საქმეში გამოცდილი იყო და ეს სოფელში ყველასთვის ჰქონდა გაკეთებული. მაგრამ მე ამას უცხოებისთვის არ ვაკეთებ, არამედ მხოლოდ მათთვის, ვისაც ვიცნობ“, - ამბობს ის.

„ბიჭებთან უფრო რთულია. ამიტომ არის, რომ ეს საქმე ექიმმა უნდა გააკეთოს. გოგონების შემთხვევაში მხოლოდ გაჭრა ხდება. დიახ, სისხლი მოდის, მაგრამ ეს სამინელება არაა. შეუძლიათ მამინევე ჩაიცვან საცვლები და წაიფრან“, - განცხადდა მაგომედოვამ.

აგვისტოში, არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლებრივი ინიციატივა რუსეთისთვის“ მიერ გამოქვეყნდა ანგარიში, რომელმაც გამოაშკარავა, რომ დაღესტანში, ათობით ათასმა ხუნძმა ქალმა და გოგონამ კლიტორის დასახიჩრება გადაიტანა.

ნაიდა, რომელიც სოფელ სარუსოდანაა, აცხადებს, რომ ამ საკითხზე მედიაში არსებულმა გამოხმაურებამ გააბრაზა.

„მტკივნეული იყო „ფისბუქში“ კომენტარების კითხვა“, ამბობს ის, „ზოგი დაგვიცინოდა, ზოგი მასხრად გვიგდებდა. ვპასუხობდი, სასაცილოდ კი ნუ ხდინდნენ ჩვენს ჩვეულებებს, არამედ საკუთარი დაეცვათ. ჩვენ მუსლიმები ვართ და ვცხოვრობთ მუსლიმური ჩვეულებების მიხედვით. ამის არ მცხვენია, ვინარჩუნებ ჩემს რწმენას“.

დაღესტანში წინადაცვეთის პრაქტიკის წარმომავლობა უცნობია, განმარტავს საიდა სირადიუდინოვა, ანგარიშის ერთ-ერთი ავტორი და პოლიტიკური მეცნიერებისა და ეთნიკური პოლიტიკის დოქტორანტურის სტუდენტი საჯარო სამსახურის ჩრდილოკავკასიურ აკადემიაში, დონის როსტოვში, რუსეთში.

„ეთნოგრაფი იური კარპოვი

ქალთა წინადაცვეთას წინასწარ ჩვეულებებს მიაწერს... მაგრამ ეს მხოლოდ მისი ჰიპოთეზაა. შეცდომა იქნებოდა მხოლოდ მისი გათვალისწინება. არ არსებობს ზუსტი წყარო, რომელიც ახსნიდა როგორ წარმოიშვა ქალთა წინადაცვეთა დაღესტანში. ეს ტრადიცია საქართველოში ხუნძებმა წაიღეს, რომლებიც იქ დასახლდნენ“, - ამბობს ის.

ორგანიზაციის მკვლევარების თანახმად, დაღესტანში ქალის გენიტალიების დასახიჩრების ერთი სტანდარტი დადგენილი არ არის.

„გენიტალიების ოპერაციების ვარიანტები და ფორმები დამოკიდებულია იმ ქალის გამოცდილებაზე, რომელიც ოპერაციას ატარებს, ასევე იმ ქალის სურვილებზე, ვისაც გოგონა საოპერაციოდ მოჰყავს და რაიონზეც კი, სადაც ოპერაცია ტარდება“, - ნათქვამია ანგარიშში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ქალის გენიტალიის დასახიჩრების ოთხი ტიპიდან დაღესტანში სამი გვხვდება. ესენია ჩაჭრა და სისხლის გამოშვება, კლიტორის ნაწილის მოცილება და კლიტორისა და მცირე სასქესო ბაგეების ამოკვეთა.

სარუსოში სრულდება



ჩაჭრა, რასაც სისხლდენა უნდა მოჰყვეს, განსხვავებით თივისა და ჩანთლისყურისა, სადაც კლიტორის წვერს ჭრიან.

„პატარა ნაწილია, მარცვლის მსგავსი. ოპერაციის შემდეგ მას აგდებენ“, - ამბობს სოფელ თივის მცხოვრები.

ნაიდას ბიძაშვილს, ზარიფათს სამი ქალიშვილი ჰყავს. მათგან ორმა უფროსმა გენიტალიის დასახიჩრების ოპერაცია უკვე გადაიტანა. ზარიფათი წინააღმდეგი იყო, მაგრამ მისმა დედამთილმა დაიფინა, თუმცა კი ბოლოს ეს გადაწყვეტილება ინანა.

„როცა დავინახე, როგორ ტიროდნენ ისინი, ვინანე რაც ჩავიდინე. რისთვის? ნუთუ ამის გარეშე მუსლიმები არ იქნებოდნენ“, - განაცხადა გოგონების ბებიამ.

„მხოლოდ სოფელის ხალხს ენდომებოდა გაეგო, რატომ არ გავუკეთეთ გოგონებს წინადაცვეთა“, აგრძელებს მუსლიმთა. „მათ თქვეს, ეს უნდა გაკეთდეს, ჩვენ მუსლიმები ვართ“. მაგრამ თუ არ გავაკეთებდი, ვინერვიულებდი, რომ მათ წინადაცვეთა არ აქვთ და ჭეშმარიტი მუსლიმები არ არიან“.

რელიგიური მიზეზების გარდა, ხუნძები ამბობენ, რომ

გენიტალიების დასახიჩრება ქალის პიროვნებას ცვლის.

„ამბობენ, რომ წინადაცვეთის შემდეგ ქალი ნაკლებად ტემპერამენტურობა და არ აქვს სექსუალური მოთხოვნილება“, - ამბობს სოფელში მცხოვრები ერთ-ერთი ქალი.

ყველაფრის მიუხედავად, ზოგიერთი ოჯახი ამ ტრადიციის დაცვაზე უარს ამბობს.

„ეს იმისთვის კეთდება, რომ გოგონას სანოლში კაცი არ დასჭირდეს“, ამბობს თიგში მცხოვრები იმანიათი. „მაგრამ თუ ოჯახური ცხოვრების ინტერესი არ არსებობს, რა სახის ქორწინება შეიძლება არსებობდეს? მხოლოდ ერთად ცხოვრება? არა, წინადაცვეთას ჩემს ქალიშვილს არ ჩავუტარებ“.

იმანიათის ოჯახი მახაჩკალაში, დაღესტნის დედაქალაქში ცხოვრობდა, რამდენიმე წლის წინ კი თიგში გადმოვიდნენ. ის ამტკიცებს, რომ ქალთა წინადაცვეთას ისლამთან მცირე კავშირი აქვს.

„ერთი მუფთის თქმით, ეს კეთდება იმისთვის, რომ ქალის გარყვნილება არ იყოს. მაგრამ კაცია ის, ვინც პირველ ნაბიჯს დგამს გარყვნილებისკენ. ქალი, სუსტი სქესი, ემორჩილება მას. არსებობს ღვთის ნიჭი - ყურანი, რომელიც არ ამბობს, რომ გოგონა ვალდებულია წინადაცვეთილი იყოს“, - ამბობს იმანიათი.

მართლაც, საქართველოს მუსლიმთა სამართველოს მუფთი, ისინი ალიევი, ასევე აღნიშნავს, რომ ამგვარი ვალდებულების შესახებ ყურანში არაფერი წერია.

ქალის გენიტალიების დასახიჩრება ან მოკვეთა ადგილობრივ ავარებში შეხლუდულია.

ამ პრაქტიკისგან თავს იკავებენ ქართველი მუსლიმები სხვა ეთნიკური ჯგუფებიდან.

„ზოგიერთი ერი ამას საკუთარი ტრადიციების მიხედვით აკეთებს, მაგრამ არა ისლამურ კანონზე დაყრდნობით... შესაძლოა გოგონების წინადაცვეთას რაიმე კავშირი აქვს ხუნძების ეროვნულ ჩვეულებასთან, ეს სხვა საქმეა“, - ამბობს ალიევი.

„ყურანი არ ამბობს, რომ წინადაცვეთა ვალდებულია“, - განმარტავს ის. „მუსლიმად გახდომისთვის, შეგიძლია თქვა შაჰადა [რწმენის დადასტურება: „არ არსებობს სხვა ჭეშმარიტი ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედი მისი შუამავალია“] და მიჰყვე ისლამის მცნებებს. წინადაცვეთა ამისთვის აუცილებელი არ არის“.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი შაატა იმნაძე აღნიშნავს, რომ ფსიქოლოგიური ტრავმის გარდა, არსებობს ქალის გენიტალიების დასახიჩრებასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური რისკებიც.

„იმ შემთხვევაში, თუ წინადაცვეთის პროცედურა სტერილურ გარემოში არ ჩატარდა, ყოველთვის არის სხვადასხვა დაავადების რისკი,

მათ შორისაა ჩირქოვანი ინფექცია, ტეტანუსი, ჰეპატიტი, სისხლის მონამგლა. ინსტრუმენტის სპირტით დამუშავება არ იძლევა სტერილურობის რაიმე გარანტიას და არ იცავს სერიოზული დაავადებებისგან“, - ამბობს შაატა იმნაძე.

გინეკოლოგი და რადიოლოგი ნინო დათოშვილი სხვა პრობლემებსაც ჩამოთვლის.

„კლიტორის მოკვეთა ძალიან სახიფათოა. ამან შეიძლება გართულებები გამოიწვიოს. მაგალითად, შესაძლოა იყოს სისხლდენა, ნაწიბუროვანი ჰიპერტროფია ან გართულება მკურნალობის პროცესში. ასევე არსებობს ინფექციის შესაძლებლობაც და შემდეგ შეიძლება დაჩირქება დაიწყოს. ნებისმიერი ოპერაცია, პატარა და უმნიშვნელოც კი სპეციალურ კაბინეტში სტერილურ პირობებში უნდა ჩატარდეს“, - ამბობს დათოშვილი.

მაგომედოვა, რომელიც გოგონებს სარუსოში ჭრის, ამბობს, რომ ასეთი რისკები გაზვიადებულია.

„ოპერაციამდე ალაჰისკენ ვბრუნდები და ხუნძურ ენაზე ვთხოვ, ყველაფერი კარგად დასრულდეს. მრავალი წლის განმავლობაში, სოფელში არ ყოფილა წინადაცვეთის შემდეგ სისხლის მონამგლის შედეგად გოგონას გარდაცვალების შემთხვევა“, - აცხადებს მაგომედოვა.

ამის მიუხედავად გაეროს ორგანიზაციები ნათლად განმარტავენ, რომ ქალის გენიტალიების მოკვეთა არის ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის უკიდურეს ფორმას წარმოადგენს.

საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მათ არ იცოდნენ, თუ ქვეყანაში ქალებისთვის გენიტალიის მოკვეთა ხდებოდა.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტს“ განუცხადეს, რომ მათ საქართველოს ტერიტორიაზე ქალთა წინადაცვეთის შესახებ პირველად გაიგეს.

„არ ვიცით, თუ აქ მსგავსი რამ ხდება“, - განაცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა. „ამის შესახებ ინფორმაცია კახეთში მომუშავე ჩვენს არცერთ დეპარტამენტს არ მოუწოდებია. თუ ვინმე დახმარებისთვის მოგვაკითხავს, ალბათ შესაძლებელი იქნება შემოწმება. მაგრამ აქამდე, არანაირი საჩივარი არ მიგვიღია“.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენელმა „ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტს“ განაცხადა, რომ გამოიძიება დაიწყებენ.

„თქვენი ინფორმაცია ადგილობრივი და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშებში გადავამოწმეთ, მაგრამ ამგვარი ფაქტები არსადაა ნახსენები. მაგრამ, ამის მიუხედავად, სახალხო დამცველმა გამოთქვა მზადყოფნა ყვარლის რაიონის თქვენს მიერ დასახლებულ სოფლებში განახორციელოს მონიტორინგი და მოგვანოდოს შესაბამისი ინფორმაცია“.

აიდა მირმაქსუმოვა მობალისე ურნალისტი

# „გმირობო, თქვენმა მარჯვენამ ვაზის პოემა დაწერა!“

თითქოს მთელი შემოდგომის ხვავსა და ბარაქას იმ ერთ საკლასო ოთახში მოეყარა თავი. მერხებზე თეთრი სუფერები ქათქათებდა, მასზე ქართული ტრადიციის მიხედვით შემოდგომის ხორავი ლამაზად იყო განთავსებული, თვალსაჩინოების უკეთესად წარმოდგენისთვის მშობლებს სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის თეთრი, სერი და შავი პურები მოუტანიათ. შოთი, ლავაში და თქვენ წარმოიდგინეთ აგურა პურის გამოცხობაც კი მოუთხოვია პედაგოგს, რომ პურის ეს სახეობაც თვალის

ერეკლეთი, თამარ მეფით, დავითით, ექვთიმე თაყაიშვილით, ვაჟათი, ვახტანგ გორგასლით, პასუხობენ მოსწავლეები და უფრო მეტი სიამაყე გეუფლება გულში, როდესაც იცი, რომ ჩვენმა მომავალმა თაობამ უკვე იცის, თუ ვინ იყვნენ ისინი. აქვე დასძინეს, რომ წლებადღეი წელი შოთა რუსთაველის წაადა გამოცხადებული.

პედაგოგმა გოგონებისგან საშინაო დავალებად მიცემული გამოცხვარი ნამცხვრები მოიკითხა. შემდეგ სათითაოდ გამოიყვანა ისინი და მათი ნამცხ-

ვების ღვინოს ამზადებენ. ეს ყველაფერი ჯამში საინტერესო კოლაჟს გვაძლევდა, იმდენად შეკრული და ჯაჭურად იყო გადაბმული თემები ერთმანეთთან, რომ მთლიანობაში ერთ, სერიოზულ დისერტაციას ჰგავდა დაცულს პურის და ვაზის ჯიშებზე... და დასკვნითი ეტაპი, მოსწავლე ბიჭებმა საინტერესო გაკვეთილი „ვაზის სიმფონია“ ფიალებით წარმოქმული სხვადასხვა სადღეგრძელოთი დაასრულეს. აქ ლექსად და ლამაზი სიტყვებით დაიღა და დედის, დედის ცრემლების, სამშობლოს, საქართველოს, სიყვარულის, კოცნის, ვაზის და ღვინის სადღეგრძელოები. არაჩვეულებრივი დღე იყო, დახუნძული შემოდგომის ბარაქითა და სიტყვაკაზმული, მრავლისმომცემი მასალებით. გაკვეთილს მთლიანობაში გასდევდა პატრიოტული გრძობა, რადგან პური-სა და ღვინის ქვეყანაში, სადაც ამ ორ სიმბოლოურ სიტყვას თუ ქრისტეს ხორცზე საუბრობენ, იქვე იჩენს თავს სისხლის ყივილი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სიყვარული გვაქვს გამჯდარი. ეს ორი ნივთიერება ხომ სიმბოლოურად ჩვენს სამშობლოსთანაა გაიგივებული, ჩვენი მინის სიყვარულთან

„... კეკი, მეურმეებო, რა ჟენა, მეცნობით, ღმერთმანი, გუშინ იყო თუ წარსულში, რამდენჯერ შევხვდით ერთმანეთს! ომშიც, შრომაშიც თქვენს საქმეს მისდევთ და მიეტყვებით - აჰანდე, ლეგა ბიჭები - ნაღდი კახელი დევები...“  
შ. ნიშნიანიძე



ერთი შევლებით მაინც გაცენო თავისი მოსწავლეებისთვის. გოგრა, სიმინდი, ხორბალი, ფქვილი, ქერი, ღვინო, ჭურები, ყანწები, ფიალები და დოქები... თვალსაჩინოების უკეთესად სუფრის ლაზათი და მშვენება ვაზის ფოთლებიანი ყურძნის აკიდობები. იმ დღით დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის პედაგოგი მარინა ინასარიძე თავის მოსწავლეებს, მესამე ბკლასის ქართული ენისა და ლიტერატურის განაყოფს, ღია გაკვეთლს უტარებდა. წარმოუდგენელია იმ სილამაზის და ფანტაზიის აღწერა, რა გაფორმებაც იმ დღით მისი აღსაზრდელების თვალებმა ნახეს. ღია გაკვეთლის მთავარი თემა შემოდგომა და კერძოდ მათ მიერ შესწავლილი შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ვაზის სიმფონია“ გახლდათ. სწორედ ამიტომ გააკეთა აქცენტი პედაგოგმა შემოდგომის მიწურულს ვაზისა და ხორბლის ჯიშების წარმოჩენაზე და ამ ორ დიდ სიმბოლოზე ღია გაკვეთლის ხორცშესხმა. მას სურდა, თავის მოსწავლეს აქედანვე შეესისხლორცათ ჩვენი ერისა და ტრადიციების ორი მთავარი ნიშა, რითაც ქართველობა დღემდე ამაყად გაჰყურებს თანამედროვეობას, ეს გახლავთ პური ჩვენი არსობისა და ღვინო, სისხლი ჩვენი იესო ქრისტისა.

ვრები დააგემოვნებინა ბიჭებს, ამასთან თითოეულ გოგონას დანვრილებით გამოჰკითხა, თუ როგორ, რა მასალებით შეძლეს ნამცხვრის მომზადება და რამდენწუთიანი ცხობის შედეგად გამოაცხვეს ნამცხვრის კექსები. გოგონებმა საუკეთესოდ წარმოაჩინეს კიდევ ერთი თემა, მათ მარინე მასწავლებლისგან დავალებული ჰქონდათ ხორბლის სხვადასხვა ჯიშების მოძიება და ჯიშების თვისობრივობაზე მასალების შესწავლა. დიკა, ასლი, თავთუხი, დოლის-პური, იფქლი, - ეს იმ ხორბლის ჯიშების ჩამონათვალაა, რომელთა თვისობრიობას და თითოეული ხორბლის ფერს, ცხობის ტექნოლოგიას ვეზიარეთ იქ დამსწრენი. მოსწავლეების ასეთმა მომზადებამ და ცოდნის გამოიყვანებამ გაგვაოცა, თუმცა ეს ჯერ კიდევ დასაწყისი გახლდათ, კიდევ უფრო ბრწყინვალე შედეგი დადეს მარინა მასწავლებლის ბიჭუნებმა, მათ სასწაული გაკვეთილი გადაგვიშალეს, გვამოგზაურეს მთელს საქართველოში და ვაზის თითოეული დანვრილებით გაგვიშიფრეს. ეს გახლდათ საოცრება, როდესაც პატარა მამულიშვილები ყურძნის თვისებებზე, მის მიერ დაყენებულ ღვინოებზე და მათ დასახელებებზე საუბრობდნენ, გულის სიღრმეში სამშობლოს სიყვარული ცეცხლივით გეზიგზდებდა და მამდევდა იმედს, რომ ჩვენს ქვეყანას გადაშენება არ უნერია. ეს გახლდათ ყურძნის სხვადასხვა ჯიშების საუკეთესო პრეზენტაცია, რაც კი თქვენმა ადამიანის ყურმა და თვალმა მოისმონოს და ნახოს. - ხიხვი, რქანითელი, საფერავი, ქისი, სიმონასელი, თეთრი კუმსი, კახური თითა, ადესა, ალექსანდროული, - საკმაოდ მრავალფეროვანი გახლდათ ყურძნისა და მისგან დაყენებული ღვინოების დასახელებაც. აქვე ბიჭებმა აღნიშნეს რომ ქართული ღვინო მზადდება ქვევრში და საქართველოში 500 აბრიგენული



და ეს კიდევ უფრო აათმაგებდა იმ გრძობათა ემოციურ ფონს, რასაც მარინა მასწავლებლის მოსწავლეები ჩვენს წინაშე ამ თემის ინიციებით ახდენდნენ.

საპატიო სტუმრებს შორის გახლდათ მეღვინე, „ღვინოვ ქართული გონაშვილისა“ მარინის მეპატრონე ბატონი გოდერძი გონაშვილი. მან აუხსნა ბავშვებს, რომ შრომა არასოდეს არ არის დასაძრახისი, პირიქით შრომა მიიყვანთ მათ სწორ და ჭეშმარიტ გზასთან. — „მე ცხოვრების გზაზე ბევრი რამ გავიარე, აღფრთოვანებას ვერ ვმალავ თქვენი მოსმენით, არ ველოდი ამისთანა გაკვეთლს, ანდა, ამისთანა ბავშვები თუ დამხვდებოდით, მოლოდინს გადააჭარბა აქ მოსმენილმა და მაღლობა მინდა გადაგიხადოთ, როგორც თქვენ, ასევე თქვენს პედაგოგს მარინა ინასარიძეს. ახლა კი, მოგიყვებით ჩემზე. რაც მე, თქვენმა მონა-მორჩილმა გავიარე ცხოვრების მანძილზე, მე მინდა იგივე გირჩოთ თქვენც, აუცილებლად გქონდეთ მიზანდასახულობა დადებითისკენ, რა თქმა უნდა. პირველ რიგში თქვენთვის მოწოდებაა სწავლა, შემდეგ უნდა ჩამოყალიბდეთ

გიყურებით. ყველა ქართველი პოტენციურად მეღვინეა მონოდებით, მშრალი ღვინო, როდესაც მზადდება აუცილებლად 20% -ზე მეტი არ უნდა იყოს შაქრიანობა, 6 პრობილამდე კი, ტიტული მჟავიანობა, აი ამ შემთხვევაში 12 გრადუსის ფარგლებში სპირტის შემცველობა ექნება ღვინოს, 5 პრობილამდე კი, ტიტული მჟავიანობა. შემდეგ ხდება მათი დაძველება, თუ დაგეგმვლებით, მაშინ უფრო მაღალ ფასებში გაიყიდება. საერთოდ, კახური ღვინოები ადრე მზადდება, ვიდრე დასავლეთის ღვინოები. დედოფლისწყაროში 4 მძლავრი ღვინის ქრახანა იყო, სადაც მზადდებოდა 150 ათასი ტონა ღვინო. დამზადებული ღვინო რუსეთში იგზავნებოდა, იქ ისხმებოდა ბოთლებში და მიდიოდა ქსელში. 90-იან წლებში მოიშალა, ყველაფერი დაინგრა, მე პირადად სხვა საქმიანობა არ შემეძლო, იმდენად პროფესიონალურად რამდენადაც მეღვინეობა. ამიტომ გავაკეთე საოჯახო მარანი, სადაც შემიძლია 80 ტონამდე ყურძნის გადაშენება. მაქვს 32 ქვევრი, თითოეული სამ ტონიანი. შევქმენი ჩემი სამი სახეობის ღვინო, ორი

დამუშავების პროცესში ვასხამ ბოთლებში, ორლიტრიანებში, ხუთლიტრიანებში და ასე მიდის თბილისის სუპერმარკეტების ქსელში. ამ დარგმა, რომელიც ქართველთა ტრადიციული საქმე იყო, მოიზიდა ტურისტები, მოდიან ჩემთან სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფიჯის ქვეყნებიდან, ფილიპინებიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, კორეიდან, აღარ ვსაუბრობ რუსეთის და ევროპულ ქვეყნებზე. ყველას აინტერესებს, როგორ მზადდება ქვევრის ღვინო, ეს ქვევრები ხომ მინაშია განლაგებული, იმათ უკვირთ, სამი ტონის მოცულობის ქვევრი მინაში როგორ არის, მაგრამ ჩვენმა წინაპრებმა შემოგვინახეს ეს ტრადიცია და ამას დიდი დაფასება აქვს დღეისათვის. ამ საქმიანობამ, ჩემი დარგის სიყვარულმა, მისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ, დღემდე სწავლაში გამაღვივინა ცხოვრება, მინდა რომ შევისწავლო, ვიცოდე, თუმცა არ მაკლია ცოდნა, მე ხომ მთავარ მეღვინედ ვმუშაობდი, აქ ჩვენს ქარხანაში. იარა ამ გამოცდილებამ, იარა და დღეს წარმოგიდგებით, როგორც აკადემიკოს, ტრადიციული ღვინის შენახვისა და გაცეცხვებისთვის მომენიჭა აკადემიკოსის წოდება. მე მინდა გითხრათ, რომ ცხოვრება ამად ნამდვილად ღირდა და გირჩევთ თქვენც, რომ ნუ შეგემინდებთ შრომის, ისწავლეთ, იშრომეთ და აუცილებლად მიაღწევთ სანადელს,“-აღნიშნა ბატონმა გოდერძი გონაშვილმა.

ღონისძიებას ესწრებოდა სკოლის დირექტორი ეთერ ოთარაშვილი, რომელმაც ასევე უმაღლესი შეფასება მისცა ღია გაკვეთილს. — „მე პირადად ბევრი რამ ვიცოდი ქართული ღვინის და პურის შესახებ, მაგრამ კიდევ უფრო ბევრი ინფორმაცია მომანოდეს ამ ბავშვებმა, ამისთვის პირველ რიგში მაღლობა მინდა გადაგიხადოთ თქვენ, ბავშვებო, და შემდეგ მარინა მასწავლებელს, რომელმაც უდიდესი შრომა ჩადო თქვენი კარგად წარმოჩენისთვის. გაკვეთილი მართლაც როგორც თავად აღნიშნეთ დასაწყისში, სახალისო, საინტერესო, ბევრისმომცემი და ინფორმაციულად დატვირთული იყო. მე მჯერა, იმდენად შთაბეჭდილი იყო ეს ყველაფერი, რომ არასოდეს დაგავინებებთ დღევანდელი დღე და დღევანდელი გაკვეთილი, ძალიან დიდი მაღლობა ამისთვის. მაქვს დიდი იმედი, თქვენ ამ ტემპს შეინარჩუნებთ და ალბათ მხოლოდ სკოლას კი არა, ისეთი წარმატებულებები, სასახელო ვაჟკაცები და გოგონები იქნებით, რომ რაიონს და საქართველოს ასახელებთ.“-აღნიშნა სკოლის დირექტორმა ეთერ ოთარაშვილმა.

წარმატებები და დაფასება ჰქონოდათ მუდამ მარინა მასწავლებელს, როგორც პედაგოგს და მის მოსწავლეებს, რომლებსაც წინ დიდი გზა აქვთ სავალი.

# კულტურის სახლი 50 წლისაა ანონსი



24 ნოემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებით ქ. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დაარსების 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. ღონისძიებას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ხორნაბუჯისა და ჰერეთის მთავარეპისკოპოსი, მეუფე დიმიტრი (კაპანაძე), ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და ადგილობრივი მცხოვრებლები ესწრებოდნენ.

საღამო გახსნა ხალხური სიმღერების ანსამბლმა „ხორნაბუჯი“. მაყურებელთა წინაშე წარსდგნენ ანსამბლი „მანდილი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“, „საბავშვო სტუდია „არლუკინო“, ახალგაზრდული ანსამბლი „ოცნება“, ტრიო „დები ლოლაშვილები“. სპეციალური მონაწილეობით დედოფლისწყაროელებისთვის იმღერეს და იცეკვეს ახმეტის ფოლკლორულმა ანსამბლმა „პანკისი“ და „ფორტე“.

„მივესალმები ჩვენს ძვირფას დედოფლისწყაროელებს, სასულიერო პირებს, დამსწრე საზოგადოებას. მე მინდა მადლობა გადავუხადო სტუმრებს, საქართველოს უღამაზესი კუთხის, პანკისის შეილებს აქ ჩამობრძანებისთვის. დედოფლისწყარო უნიკალური მუნიციპალიტეტია და ის დიდი კულტურისა და თეატრალური წარმოდგენები რაიონია. გილოცავთ ყველას საიუბილეო საღამოს“- განაცხადა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

საღამომ სრული ანშლაგით ჩაიარა. ღონისძიების დასასრულს დამსწრე საზოგადოებამ სამახსოვრო წიგნში თავიანთი შთაბეჭდილებები ჩაწერა.

ვრცელ მასალას აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.



# „ვეფხისტყაოსანი“ სამრეკლოს სცენაზე



21 ნოემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ორგანიზებით სოფელ სამრეკლოს კულტურის სახლში სპექტაკლი „ვეფხისტყაოსანი“ ჩატარდა. აღნიშნული საქველ-მოქმედო პროექტი „ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს ერთობლივი ძალისხმევით. ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გაცნობებით, რომ პროექტის ფარგლებში წარმოდგენები უკვე გაიმართა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.



## ულოცავინ! მზინა და მზინა ნასრაშვილებს!

გილოცავთ შეილების: შოთაშვილ ნიკოლაშვილის და გვანდამ გომილაშვილის ქორწინებას. ახლად-შეუღლებულებს ვუსურვებთ სიამაყით ეტარებინოთ მეუღლეობის ტვირთი და ღირსეულად წარემართოთ ამ ქვეყნად ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა, რასაც ოჯახი ჰქვია. გამრავლდით და გაიხარეთ.

სამრეკლოს საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგი პეტრი.

## მადლიერება ნიკოლოზ ჯანიაშვილს!

სათნოების სახლის ბენეფიციარები უდიდეს მადლობას ვუხდით მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს იმ დიდი სიხარულისთვის, სიბოძისთვის, სიკეთისთვის, ჰუმანურობისთვის, რაც მან ჩვენზე ზრუნვისთვის გააკეთა და გვაჩუქა ღამაში, განახლებული, სუფთა სათნოების სახლის ოთახები. ბატონ ნიკოლოზს ამ დიდი სიკეთის გაღებისთვის ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გახარებას თავის ღამაში ოჯახთან ერთად.

მადლობა გვინდა გამოვხატოთ ასევე სათნოების სახლის დირექტორის ქალბატონი მარინე ტოკლიკიშვილის მიმართ, იმისთვის, რომ თბილ და სუფთა ოთახებში გვმასპინძლობს, საუკეთესოდ გვივლის, ზრუნავს და გემრიელ მენიუსთან ერთად ტკბილ სიტყვას არ გვაკლებს. მადლობა მას ასეთი კარგი ადამიანობისთვის.

პატივისცემით სათნოების სახლის პენეფიციარები.

### ანონსი

ხუთშაბათს, 1 დეკემბერს, 13 საათზე „დედოფლისწყაროს ახალ-გაზრდული იდეა“ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ხსნის სოციალურ საწარმოს- „რენვის ხელოვნება“. გაიმართება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების მიერ შესრულებული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. დასწრება უფასოა. გთხოვთ, მობრძანდეთ!

### ყურადღება!

ვაკეთებ ლამინირებას სიგელების, დიპლომების, სერთიფიკატების, ხატების, პირადობების, მართვის მოწმობების, სურათების და სხვა სახის დოკუმენტების ხელმისაწვდომ ფასებში. დედოფლისწყარო, ☎ 557 00 66 85.

### ი ყ ი დ ე ბ ა !

სასწრაფოდ და იაფად იყიდება 7 მეტრადი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი დედოფლისწყაროში: მესერი, რკინის კარებით, 3 სათავსოთი საქონლისთვის, გადახურული სათონით, ეზოში არის ბოლომდე ჩაცემენტი ტყე, ხეხილის და ყვავილების ბაღი, 20 მეტრშია მინდორი საქონლის გასარეკად. ☎ 557 00 66 85.

ოსსართულიანი კაპიტალური სახლი. პირველ სართული გამართულია, მეორე სართული გასამართია, ეზოთი, ბაღით, მარინით, სათონით; ფასი 11500 აშშ დოლარი. ☎ 591 345550 იკითხეთ ლალი.

სასწრაფოდ იყიდება 1200 კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მეგობრობის ქუჩაზე. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაუკავშირდით: ☎ 577 41 72 25, მირიანი

ამინდი		დედოფლისწყარო					
ორშაბათი 28.11	სამშაბათი 29.11	ოთხშაბათი 30.11	ხუთშაბათი 01.12	პარასკევი 02.12	შაბათი 03.12	კვირა 04.12	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
☀	☁	☀	☁	☁	☀	☀	☁
6°	4°	8°	7°	9°	5°	7°	5°

გამომცემელი შპს „შირაპი“ დირექტორი ინგა შილაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლევია: ლალი მხარეშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტიკა); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათია ზოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინო ჰანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაპის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
---	--	--	---